პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — орган ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 218 (9686) სამშაბათი, 15 სექტემბერი, 1953 წ. ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით. კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სოციალისტური ინდუსტრიის, როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალის, მძლავრი ზრდის [illegible] ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის [illegible] გადაჭრა. თანამედროვე პირობებში ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დაისახა როგორც სასიცოცხლო, საყოველთაო-სახალხო ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს აგრეთვე მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან.

# სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს

ამხანაგებო! დიდი წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების დარგში, საშუალებას აძლევენ კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას უშუალოდ შეუდგნენ ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის ამოცანის გადაჭრას.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 32, გვ. 584). საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ყოველმხრივ განვითარებული მძიმე ინდუსტრია, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი საძირკველია. ახლა, როცა ასეთი საძირკველი არსებობს; არის პრაქტიკული შესაძლებლობა მოვაწყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, რადგან სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზანი და მთავარი ამოცანაა მთელი საზოგადოების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

მაგრამ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ასეთი მკვეთრი აღმავლობა რომ მოვაწყოთ, საჭიროა სწრაფი ტემპით წავწიოთ წინ ჩვენი სოფლის მეურნეობა.

ყველაზე საარსებო და უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანა ამ ეტაპზე ის არის, რომ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განვავითარებთ რა მძიმე ინდუსტრიას, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ აღმავლობას და ორ-სამ წელიწადში მკვეთრად გავადიდოთ სასურსათო საქონლით ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა და ამასთანავე უზრუნველვყოთ კოლმეურნე გლეხობის მთელი მასის მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე.

ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია ამ პლენუმის განსახილველად შემოეტანა წინადადებანი მთელ რიგ დიდ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა და მრავალმხრივი განვითარება.

## 1. სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანები

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილ საკოლმეურნეო წყობილებას გადამწყვეტი უპირატესობა აქვს ყოველი კერძომესაკუთრული სასოფლო-სამეურნეო წარმოების როგორც წვრილსასაქონლო, ისე მსხვილი კაპიტალისტური წარმოების წინაშე. ძველი წყობილების ნაცვლად სოფლად, სადაც 25 მილიონი დაქუცმაცებული, დაქსაქსული კერძომესაკუთრული მეურნეობა იყო, შეიქმნა და განმტკიცდა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, სოციალისტური მიწათმოქმედების წყობილება. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა ახლა აერთიანებს 94 ათას კოლმეურნეობას, 8.950 მანქანა-ტრაქტორთა სადგურს და 4.700-ზე მეტ საბჭოთა მეურნეობას.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა მსოფლიოში ყველაზე მექანიზებული სოფლის მეურნეობაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თავმოყრილია კაპიტალისტურ ფერმერთა რიცხობრივად მცირე ჯგუფის ხელში, მშრომელ გლეხთა დიდი უმრავლესობის მეურნეობებში კი სჭარბობს ხელის შრომა, პრიმიტიული ტექნიკა.

საბჭოთა სახელმწიფომ სოფლის მეურნეობა აღჭურვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პირველხარისხოვანი ინდუსტრიული ტექნიკით, რამაც შესაძლებელი გახადა უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის პრობლემის გადაწყვეტა. 1952 წელს კოლმეურნეობებში სამუშაოთა მექანიზაციამ შეადგინა: მარცვლეულის თესვაში — 87 პროცენტი, კომბაინებით მარცვლეულის აღებაში — 70 პროცენტი, ანეულის ხვნაში — 96 პროცენტი, მზრალად ხვნაში 97 პროცენტი, ბამბის თესვაში — 98 პროცენტი, შაქრის ჭარხლის თესვაში — 95 პროცენტი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია უაღრესად ამსუბუქებს კოლმეურნე გლეხობის შრომას, შრომის ხარჯვაში კოლოსალურ ეკონომიას აძლევს ჩვენს საზოგადოებას. მექანიზაციამ საშუალება მოგვცა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა გადაგვეყვანა თანამედროვე მეცნიერულ-აგრონომიულ საფუძვლებზე.

ვითარდება და მტკიცდება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე იზრდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა, მისი საქონლიანობა. მაგალითად, 1926-27 წლიდან 1952-53 წლამდე სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია გადიდდა: მარცვლეულის დარგში — 10,3 მილიონიდან 40,4 მილიონ ტონამდე, კარტოფილის დარგში — 3 მილიონიდან 12,5 მილიონ ტონამდე, ხორცის დარგში — 2,4 მილიონიდან 5 მილიონ ტონამდე, რძის დარგში — 4,3 მილიონიდან 13,2 მილიონ ტონამდე. დიდი წარმატებანი მოპოვებული ბამბის, შაქრის ჭარხლისა და ზოგიერთი სხვა ტექნიკური კულტურის წარმოებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა სოციალისტურ სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს წლითიწლობით გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სასაქონლო ფონდები ნედლეულით მრეწველობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად და სურსათით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებასთან ერთად იზრდება მათი სიმდიდრე, დიდდება კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. საკმაოა ითქვას, რომ კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1940 წლიდან 1952 წლამდე ერთიორად გადიდდა. კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი ამჟამად რამდენჯერმე უფრო მაღალია ვიდრე მშრომელი გლეხობის შემოსავლის დონე რევოლუციამდე. სოფელში მოხდა უდიდესი კულტურული რევოლუცია.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ საკოლმეურნეო წყობილებამ ძირეულად გარდაქმნა ათეულ მილიონობით გლეხის წარმოებისა და ყოფაცხოვრების საფუძვლები ახალ, სოციალისტურ საწყისებზე. მან შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო გზა გაუხსნა საბჭოთა სოფლის ყველა მშრომელს. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი უძლეველ ძალად გადაიქცა.

მაგრამ მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ იმ უდიდეს რეზერვებს, რაც მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წიაღშია, ჩვენ ცუდად ვიყენებთ. ჩვენში ცოტა როდია ჩამორჩენილი და თავმინებებული კოლმეურნეობები და მთელი რაიონებიც კი. ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი კვლავ მცირეა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობა, განსაკუთრებით მეცხოველეობის, საფურაჟე-საკვები კულტურების, კარტოფილის მეურნეობის, მებოსტნეობის დარგში ძალიან ნელა იზრდება. წარმოიშვა აშკარა შეუსაბამობა, ერთი მხრივ, ჩვენი მსხვილი სოციალისტური ინდუსტრიის, ქალაქის მოსახლეობის, მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ტემპებსა და, მეორე მხრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს შორის.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი. 1913 წლიდან 1952 წლამდე სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია (შესადარ ფასებში) გაიზარდა 27-ჯერ, მათ შორის საწარმოო საშუალებათა წარმოება — 47-ჯერ. სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოებს სწრაფი ზრდა ქალაქის მოსახლეობისა, რომლის რაოდენობა 1926 წლიდან 1952 წლამდე სამჯერ და უფრო მეტად გადიდდა. სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრის გამრავლებასთან ერთად განუწყვეტლად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ამჟამად სსრ კავშირის მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის დონე რამდენჯერმე უფრო მაღალია, ვიდრე რევოლუციამდე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა წლითიწლობით მდიდრდება, იზრდება მშრომელთა მატერიალური დოვლათი და ამასთან ერთად, ბუნებრივია, სულ უფრო მეტ მოთხოვნებს ვუყენებთ სოფლის მეურნეობას.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი კი აშკარად ჩამორჩება მრეწველობის განვითარებისა და მოხმარების საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდის ტემპს. საკმაოა ითქვას, რომ მაშინ როცა 1940 წლიდან 1952 წლამდე მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 2,3-ჯერ, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია (შესადარ ფასებში) მხოლოდ 10 პროცენტით გადიდდა.

ჩვენ საერთოდ ვაკმაყოფილებთ ჩვენი ქვეყნის აუცილებელ მოთხოვნილებებს მარცვლეული კულტურების მხრივ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილია პურით, ჩვენ გვაქვს საჭირო სახელმწიფო რეზერვები და გარკვეული ოდენობით ვახორციელებთ პურის საექსპორტო ოპერაციებს. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად მოსახლეობის მოთხოვნილება სულ უფრო მეტად გადადის პურიდან ხორცისა და რძის პროდუქტებზე, ბოსტნეულზე, ხილზე და სხვ. მაგრამ სოფლის მეურნეობის სწორედ ამ დარგებში გამოირკვა ამ უკანასკნელ წლებში აშკარა შეუსაბამობა მოსახლეობის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებსა და წარმოების დონეს შორის. სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენა აფერხებს მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას და აბრკოლებს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდას.

რა არის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასაკმაო დონისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის მიზეზი?

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებდა მძიმე ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარების კურსს, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარების აუცილებელ პირობას, და ამ გზაზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ამ პირველი რიგის სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას ექცეოდა მთავარი ყურადღება, ამას ხმარდებოდა ძირითადი ძალები და საშუალებანი. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში ჩაბმული იყვნენ ჩვენი საუკეთესო კადრები. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა ერთსა და იმავე დროს გაგვევითარებინა მაღალი ტემპით მძიმე ინდუსტრიაც, სოფლის მეურნეობაც და მსუბუქი მრეწველობაც. ამისათვის საჭირო იყო შეგვექმნა აუცილებელი წინაპირობები. ახლა ეს წინაპირობები შექმნილია. ჩვენ გვაქვს მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, განმტკიცებული კოლმეურნეობები და გვყავს მომზადებული კადრები სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში.

მაგრამ არის სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის სხვა მიზეზებიც, რომლებიც იფარება ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებში, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებში, ესე იგი მიზეზები, რომლებიც თვით ჩვენზეა დამოკიდებული.

ასეთ მიზეზთა რიცხვს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური დაინტერესების პრინციპის დარღვევა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. დახარჯული შრომის შედეგებით საწარმოსა და ყოველი ცალკე მუშაკის მატერიალური დაინტერესების პრინციპი მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭირო იქნება მრავალი წელი და რომ გადასვლის ამ პერიოდში მეურნეობა უნდა ვაშენოთ „არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით...“. სხვანაირად, აღნიშნავდა შემდეგ ვ. ი. ლენინი, „თქვენ ვერ მიხვალთ კომუნიზმთან, სხვანაირად თქვენ ვერ მიიყვანთ კომუნიზმთან მრავალ ათეულ მილიონ ადამიანს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 46-47).

ამავე დროს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მუშაკთა მატერიალური დაინტერესების, მატერიალური წახალისების ეს პრინციპი არ ხორციელდება სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დარგებში.

ეს პირველ რიგში მეცხოველეობას ეხება. ჩვენ გვაქვს გამოანგარიშებანი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ ბამბის ჩაბარება-მიყიდვისაგან ამ კულტურაზე დახარჯულ ერთ შრომა დღეზე შუა აზიის რესპუბლიკებში აღებული თანხა შეადგენდა 17-დან 36 მანეთამდე, შაქრის ჭარხალში უკრაინის სს რესპუბლიკაში — 12 მანეთს, ტექნიკური კულტურების რეალიზაციისაგან მთელ სსრ კავშირში — დაახლოებით 18 მანეთს. იმ რაიონებში, სადაც მექანიზაციის დონე მაღალია, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში, კოლმეურნეობები მარცვლეულ კულტურებზე დახარჯულ ერთ შრომადღეზე იღებენ 8-14 მანეთს. ამავე დროს მეცხოველეობაში დახარჯულ ერთ შრომადღეზე პროდუქციის ჩაბარება-გაყიდვისაგან საშუალოდ სსრ კავშირში იღებენ მხოლოდ 5 მანეთს, უკრაინის სს რესპუბლიკაში კი — 4 მანეთზე ცოტა მეტს. ამრიგად, მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით არახელსაყრელ ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მეცხოველეობის დარგში იმის გამო, რომ აშკარად ჭარბობს ხელის შრომა, დიდია წარმოების დანახარჯი. ამასთანავე ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მეცხოველეობის პროდუქტების არსებული დასამზადებელი და შესასყიდი ფასები საკმაოდ ვერ უწყობენ ხელს მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას და მისი ახლანდელი მდგომარეობის დროს სათანადო შემოსავალს ვერ აძლევენ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს. ასევე შეიძლება ითქვას ბოსტნეულისა და კარტოფილის შესახებაც.

შემდეგ. ბევრ კოლმეურნეობაში დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უმნიშვნელოვანეს დებულებათა დარღვევა. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ მეურნეობის არტელური ფორმის ქვაკუთხედია კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამების პრინციპი, ისე რომ პირადი ინტერესები საზოგადოებრივს ექვემდებარებოდეს. ამ სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში განსაზღვრული იყო, რომ კოლმეურნეობაში მთავარ და გადამწყვეტ საზოგადოებრივ მეურნეობასთან ერთად თვითეულ საკოლმეურნეო კომლს უფლება ეძლევა პირად საკუთრებად იქონიოს მცირე მეურნეობა. ეს დამხმარე მეურნეობა საჭიროა, სანამ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა ჯერ კიდევ საკმარისად არ არის განვითარებული და სრულად ვერ აკმაყოფილებს როგორც კოლმეურნეობის საზოგადოებრივ საჭიროებას, ისე კოლმეურნეთა პირად მოთხოვნილებებს.

ბევრ კოლმეურნეობაში საარტელო მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპი დარღვეული აღმოჩნდა. ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია და ნამდვილად გამოიწვია კოლმეურნეთა პირად მეურნეობაში არსებული ძროხის, ცხვრის, ღორის სულადობის შემცირება.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის დარღვევა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა თანამედროვე პირობებში. ჩვენი მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდება. იგი მუშახელის ნაკლებობას განიცდის. უმუშევრობა დიდი ხანია დავგავიწყდა. წლითიწლობით დიდდება საწარმოებში მუშათა ხელფასი და უმჯობესდება მათი ყოფაცხოვრება. ასეთ მდგომარეობაში, თუ მუშაობა საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნეს სათანადო შემოსავალს არ აძლევს შრომადღეებზე, თუ ამასთან მისი პირადი ინტერესები თავის საკარმიდამო მეურნეობაში აგრეთვე იბღალება, კოლმეურნე ადვილად შოულობს თავისი შრომის სხვა გამოყენებას—იგი მიდის ქალაქში, წარმოებაში. ეს არის კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის შემცირებისა და ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიდან სოფლის მოსახლეობის წასვლის მიზეზი.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის სერიოზული ჩამორჩენის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია იმ მძლავრი ტექნიკის აშკარად არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, რომლითაც სახელმწიფომ შეაიარაღა და აიარაღებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგებისა და სახეობათა სამუშაოებში ჯერ კიდევ ჭარბობს ხელის შრომა. მაშინ, როცა მაღალ დონეზეა მარცვლეული კულტურების, შაქრის ჭარხლისა და ბამბის მოყვანის მექანიზაცია, ჩამორჩება ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების მექანიზაცია, როგორიცაა მეცხოველეობა, კარტოფილის, ბოსტნეულის, სელისა და მთელი რიგი სხვა კულტურების წარმოება. ბევრ მტს-ში ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს ცუდად იყენებენ.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების სერიოზული ჩამორჩენის უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, მტს-ბისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის და სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის განხორციელების საქმეში.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ის მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია თვით კოლმეურნეობებზე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და გამგეობებზე, კოლმეურნეებზე. ბევრ არტელში ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინა, ყველა კოლმეურნე როდი იღებს მთელი ძალით მონაწილეობას საკოლმეურნეო წარმოებაში. ყველგან კარგად როდია ორგანიზებული კოლმეურნეთა შრომა. ჯერ კიდევ ცოტა როდია საზოგადოებრივი დოვლათისადმი შეუგნებელი, დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტები.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ცნობილია, რომ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ სახალხო მოხმარება განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, უკანასკნელ 28 წელიწადში სახალხო მოხმარების საგნების წარმოება გადიდდა დაახლოებით 12-ჯერ, მათ შორის მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით. მაგრამ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, საბჭოთა ადამიანების მყიდველობითი უნარი, მათი მოთხოვნილება სულ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება და კვების პროდუქტების წარმოება მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებას. ამიტომ მოსახლეობის კვების გაუმჯობესების ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს წინაშე უნდა დაისვას ამოცანა — მივაღწიოთ კვების პროდუქტების მოხმარების ისეთ დონეს, რომელიც ემყარება მეცნიერულად დასაბუთებულ კვების ნორმებს, რაც საჭიროა ჯანსაღი ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ მოხმარების სტრუქტურა უმთავრესად მეცხოველეობის პროდუქტებისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებით.

რძისა და რძის პროდუქტების მხრივ მოსახლეობის მოთხოვნილება რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ, საჭიროა ჩვენს ქვეყანაში არსებული მთელი სახნავი მიწების, მდელოებისა და საძოვრების ყოველ 100 ჰექტარზე მივიღოთ 260 ცენტნერი რძე. ხოლო იმისათვის, რომ მივიღოთ 260 ცენტნერი რძე, სახნავი მიწების, მდელოებისა და საძოვრების ყოველ 100 ჰექტარზე უნდა ვიყოლიოთ სულ ცოტა 10 ძროხა 2.500-2.600 კილოგრამი საშუალო წველადობით წელიწადში.

იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, საჭიროა მთელი სახნავი მიწების, მდელოებისა და საძოვრების ყოველ 100 ჰექტარზე მივიღოთ 27 ცენტნერი ხორცი. ამასთან გაძლიერებით უნდა განვავითაროთ მეღორეობა და ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მივიღოთ სულ ცოტა 30 ცენტნერი ღორის ხორცი.

ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე უნდა ვიყოლიოთ 340 ქათამი სულ ცოტა 110 კვერცხის დებით წელიწადში.

მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს შაქრის, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების, ხილის, კენკრისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

ჩვენ მოვალენი ვართ რაც შეიძლება მალე უზრუნველვყოთ კვების პროდუქტების წარმოების ასეთი დონე. ამ დონის მიღწევის ვადები ბევრად დამოკიდებული იქნება ჩვენზე, ჩვენს ხელმძღვანელობაზე, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ მუშაობაზე. თუ ჩვენ გამოვიყენებთ მთელ ჩვენს უნარს, საშუალებებსა და ღონისძიებებს ამ ამოცანის გადასაჭრელად და ჩვენს ხელმძღვანელობაში არ დავკმაყოფილდებით საერთო დირექტივებს, არამედ შევუდგებით თვითეული კოლმეურნეობის, თვითეული საბჭოთა მეურნეობის, თვითეული მტს-ის განმტკიცებას, მაშინ მოხმარების ამ დონეს მივაღწევთ უმოკლეს ვადებში, ხოლო მთელი რიგი პროდუქტების მხრივ 2-3 წელიწადში.

ჩვენ ცოტა როდი მოგვეპოვება ისეთი კოლმეურნეობები, რომელთაც უკვე შეაქვთ თავიანთი სრულფასოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში სურსათის სრული სიუხვის შექმნის საქმეში. ამ ორი სამი წლის განმავლობაში ამ კოლმეურნეობათაგან ბევრმა თავი დააღწია ჩამორჩენას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ავიღოთ, მაგალითად, მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. სამი წლის წინათ ამ კოლმეურნეობას შეუერთდა მთელი რიგი წვრილი არტელები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას. კოლმეურნეობის გამგეობის მიერ საქმის უნარიანი გაძღოლის მეოხებით, გამგეობისა, რომელსაც მეთაურობს საკოლმეურნეო წარმოების ისეთი შესანიშნავი ორგანიზატორი, როგორიც ამხ. პუზანჩიკოვია, განვლილი სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობამ მთლიანად, და მასთან ერთად მასში შესულმა წინანდელმა ჩამორჩენილმა არტელებმაც, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მაღალგანვითარებულ და დიდშემოსავლიან მეურნეობად გადაიქცა. რძის წველადობა საშუალოდ ერთ ძროხაზე 2.500 კილოგრამიდან 4.208 კილოგრამამდე გაიზარდა. გადიდდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი, მათ შორის კარტოფილის მოსავალი — 162 ცენტნერამდე და ბოსტნეულისა — 294 ცენტნერამდე ჰექტარზე. გადიდდა პირუტყვის რაოდენობა, და კოლმეურნეობამ იწყო მნიშვნელოვნად მეტი მეცხოველეობის პროდუქტების მიღება.

მეცხოველეობის დიდმა პროდუქტიულობამ და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვმა მოსავლიანობამ საშუალება მისცეს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას ფულადი შემოსავალი აეყვანა 3 მილიონ მანეთამდე. მარტო მეცხოველეობის შენობათა აგებაზე კოლმეურნეობამ გასულ წელს დახარჯა 612 ათასი მანეთი. კოლმეურნეებს შრომადღეზე ფულადი გამოხატულებით მიეცათ თვითეულს 25 მანეთი და 80 კაპიკი.

თუ შევადარებთ ზემოთ მოყვანილ ნორმებს, რაც საჭიროა მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, იმ მაჩვენებლებს, რომლებსაც ფაქტიურად მიაღწიეს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მივიღებთ შემდეგ სურათს:

| | მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებით ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად საჭიროა | მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1952 წელს იყო |
|---|---|---|
| 100 ჰექტარ სახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე: | | |
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 20 | 35 |
| მათ შორის ძროხები | 10 | 19 |
| ხორცი (დაკლული წონით — ცენტნერობით) | 27 | 31 |
| რძე ცენტნერობით | 260 | 710 |
| საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე — კილოგრამობით | 2500-2600 | 4200 |

ყველა ზემოაღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე გადააჭარბა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

[illegible] საჭიროდ ცნეს გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილისა და ბოსტნეულის ამჟამად არსებული დასამზადებელი და შესასყიდი ფასები. მაგალითად, იმ პირუტყვისა და ფრინველის დასამზადებელი ფასები, რომელიც სახელმწიფოს ბარდება სავალდებულო ჩაბარების წესით, დიდდება 5,5-ჯერ და მეტად, რძისა და ერბო-კარაქისა — 2-ჯერ, კარტოფილისა — 2,5-ჯერ და ბოსტნეულისა — საშუალოდ 25-40 პროცენტით. რაც შეეხება შესასყიდ ფასებს, ისინი დიდდება — ხორცისა საშუალოდ 30 პროცენტით და რძისა 1,5-ჯერ. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილისა და ბოსტნეულის საცალო ფასები კი არ დიდდება, არამედ, პირიქით, ყოველწლიურად მცირდება. მოხმარების საგნების საცალო ფასების შემცირების გეზი კვლავაც განუხრელად განხორციელდება.

აგრეთვე მიზანშეწონილად არის ცნობილი, რომ ახლანდელ პირობებში შემცირდეს კოლმეურნეების მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარების ნორმები და შემცირდეს კოლმეურნეობების მიერ კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების ნორმები. მნიშვნელოვნად მცირდება მუშამოსამსახურეთა მეურნეობების მიერ მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმები.

სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირებისას კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მეტი ექნებათ უფრო დიდ შესასყიდ ფასებში, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრის ფასებში გასაყიდი ნამეტი პროდუქცია. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გადაისინჯოს მოქმედი სისტემა შესყიდვისა, რასაც სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები ახორციელებენ. საჭიროა შესყიდვის ამჟამად მოქმედი წესიდან გადავიდეთ კონტრაქტაციაზე, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს წინასწარ დაგეგმოს სავალდებულო ჩაბარების გადამეტებით მისაღები პროდუქციის რაოდენობა, ხოლო კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ პროდუქციის გასაღების გარანტია, მიიღონ ფულადი ავანსი და შეიძინონ საჭირო სამრეწველო საქონელი შემხვედრი ვაჭრობის წესით.

საბჭოთა სახელმწიფო 1953 წლისათვის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად დამატებით დახარჯავს 15 მილიარდ მანეთზე მეტს და 1954 წლისათვის — 35 მილიარდ მანეთზე მეტს. ამ დანახარჯთა მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობაში დამატებითი კაპიტალდაბანდებისათვის, მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის, რათა უკვე უახლოეს წლებში სერიოზულად წავწიოთ წინ სოფლის მეურნეობის ეს დარგები. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობები და კოლმეურნეები მიიღებენ დამატებით შემოსავალს 1953 წელს — 13 მილიარდ მანეთზე მეტს და 1954 წელს — 20 მილიარდ მანეთზე მეტს.

დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდებას, სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის. მაგრამ საჭიროა ეს ღონისძიებანი ეკონომიურად სწორად შეფასდეს. მათი დიდი მნიშვნელობა და საჭიროება ამჟამად აშკარაა. მაგრამ ისინი როდი განსაზღვრავენ საკოლმეურნეო წარმოების განვითარების მთავარ გზას.

სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის დამახასიათებელი თავისებურებაა ფასების სისტემატური შემცირება, რაც ხდება წარმოების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების საფუძველზე. მეცხოველეობის ჩამორჩენის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების ჩამორჩენის ლიკვიდაციის და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის მთავარი გზაა საკოლმეურნეო წარმოების დონის ამაღლება, საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება, წარმოებული პროდუქტის ერთეულზე დანახარჯის შემცირება. მაშინ დასამზადებელი და შესასყიდი ფასების ახლანდელი დონის დროს საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგი დიდ შემოსავალს მოიტანს.

უკვე ამჟამად ასობით და ათასობით მოწინავე კოლმეურნეობა, აბარებს რა სახელმწიფოს ხორცს, რძეს, მატყლს, კარტოფილსა და ბოსტნეულს სავალდებულო ჩაბარებისა და შესყიდვის წესით დღემდე მოქმედ დასამზადებელ და შესასყიდ ფასებში, დიდ შემოსავალს იღებს. ასეთი კოლმეურნეობები არა მარტო წარმატებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, არამედ ყოველწლიურადაც უზრუნველყოფენ დაწესებული საზოგადოებრივი ფონდების ზრდას, აგრეთვე შრომადღის მაღალ ანაზღაურებას. მაშასადამე, საქმე მარტო დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდება კი არ არის, არამედ, უმთავრესად, მეურნეობის განვითარების დონე.

ყველაზე უკეთესი იქნება ეს ცხადვყოთ კონკრეტული კოლმეურნეობების მაგალითით. კოსტრომის ოლქის კოსტრომის რაიონის კოლმეურნეობა „12 ოქტომბერი“ და 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობა ნიადაგისა და ჰავის მხრივ დაახლოებით თანაბარ პირობებში არიან, მაგრამ მათი საქმიანობის შედეგები მკვეთრად განსხვავდება.

ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები:

კოლმეურნეობა „12 ოქტომბრისა“ და 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკის 1952 წლის შედარებითი მაჩვენებლები:

| | კოლმეურნეობა „12 ოქტომბერი“ | 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობა |
|---|---|---|
| სახნავის, მდელოებისა და საძოვრების ფართობი (ჰექტარობით) | 998 | 904 |
| სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა (ცენტნერობით ჰექტარზე): | | |
| ყველა მარცვლეული | 18,5 | 7,1 |
| კარტოფილი | 195 | 70 |
| ბოსტნეული | 164 | 86 |
| წველადობა ძროხაზე (კილოგრამობით) | 5.233 | 1.272 |
| საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა (სახნავის, მდელოების და საძოვრების 100 ჰექტარზე): მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 26 | 13 |
| მათ შორის ძროხები | 10 | 6 |
| ღორები (100 ჰექტარ სახნავზე) | 142 | 8 |
| ფრინველი (100 ჰექტარ სახნავზე) | 240 | 15 |
| მიღებულია მეცხოველეობის პროდუქტები (100 ჰექტარ სახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე): | | |
| ხორცი დაკლული წონით (ცენტნერობით) | 13 | 5 |
| რძე (ცენტნერობით) | 509 | 85 |
| კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი | 2.109 ათასი მან. | 151 ათასი მან. |
| 1 ჰექტარ სახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე | 2.113 | 167 მან. |

კოლმეურნეობა „12 ოქტომბრის“ წარმატებათა საიდუმლოება ის არის, რომ ამ კოლმეურნეობაში სწორად არიან შერჩეული და განაწილებული კადრები. ამ კოლმეურნეობას მეთაურობს პრასკოვია ანდრიას ასული მალინინა, რომელიც კარგად იცნობს საქმეს და შეუძლია მეურნეობის გაძღოლა. ამხ. მალინინას ძალა ის არის, რომ იგი და მისი მეთაურობით კოლმეურნეობის გამგეობა ეყრდნობიან კოლმეურნეებს, კოლმეურნეობის აქტივს. აქ ნამდვილად ჩანს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის როლი მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, კოლმეურნეთა აღზრდაში.

ასეთი მაგალითები ცოტა როდი შეიძლება მოვიყვანოთ. ყოველივე ეს ცხადყოფს, თუ რა უდიდესი რეზერვები აქვთ კოლმეურნეობებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ნება მიბოძეთ უფრო დაწვრილებით დავახასიათო სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მდგომარეობა.

## 2. მეცხოველეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ჩვენს წინაშე ყველაზე გადაუდებელი ამოცანები დგას მეცხოველეობის დარგში, რადგან ჩამორჩენამ აქ ხანგრძლივი ხასიათი მიიღო და, თუ გადამწყვეტი ღონისძიებანი არ მივიღეთ, მალე ვერ გავაუმჯობესებთ მდგომარეობას.

მეცხოველეობა ჩვენში ომამდელ დროშიც ჩამორჩებოდა. ომისშემდგომ წლებში გაწეულია დიდი მუშაობა მეცხოველეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების დარგში. 1945 წლის ივლისიდან 1953 წლის ივლისამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა სსრ კავშირში გაიზარდა 11,3 მილიონი სულით, ცხვრისა და თხისა — 53,9 მილიონი სულით, ღორისა — 25,1 მილიონი სულით.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზრდის ასეთი ციფრების დროს, ხოლო ეს ციფრები მართლაც მნიშვნელოვანია, შეშფოთების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ნამდვილად კი ეს ასე როდია.

მოვიყვან ცნობებს სსრ კავშირში პირუტყვის სულადობის რაოდენობის შესახებ:

(მილიონობით სული წლის დასაწყისისათვის შესადარ ტერიტორიაზე):

| | მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | მათ შორის ძროხა | ღორი | ცხვარი და თხა | ცხენი |
|---|---|---|---|---|---|
| 1916 წ. | 58,4 | 28,8 | 23,0 | 96,3 | 38,2 |
| 1928 წ. | 66,8 | 33,2 | 27,7 | 114,6 | 36,1 |
| 1941 წ. | 54,5 | 27,8 | 27,5 | 91,6 | 21,0 |
| 1953 წ. | 56,6 | 24,3 | 28,5 | 109,9 | 15,3 |

ეს ცნობები იმას მოწმობენ, რომ ძროხის სულადობა 1953 წლის დამდეგისათვის 3,5 მილიონი სულით ნაკლები იყო, ვიდრე 1941 წლის დამდეგისათვის, და 8,9 მილიონი სულით ნაკლები, ვიდრე 1928 წლის დამდეგისათვის.

მაშინ როცა მთლიანად სოფლის მეურნეობამ, ვითარდებოდა რა გაფართოებული აღწარმოების პრინციპებით, შორს წაიწია წინ, მეცხოველეობა უკიდურესად ნელი ტემპით ვითარდებოდა. ჯერ კიდევ დაბალია საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. განსაკუთრებით შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა პირუტყვის რძის პროდუქტიულობის მხრივ ცალკეულ ოლქებსა და რესპუბლიკებში. კიროვის ოლქის კოლმეურნეობებში 1952 წელს მიღებულია ძროხაზე 727 კილოგრამი რძე, ნოვგოროდის ოლქში — 777, ვოლოგდის ოლქში — 819, კოსტრომის ოლქში — 906, აზერბაიჯანის სსრ-ში — 373, საქართველოს სსრ-ში — 457, ყირგიზეთის სსრ-ში — 537, სომხეთის სსრ-ში — 814, ბელორუსიის სსრ-ში — 829 კილოგრამი.

საჭიროა უმოკლეს ვადაში დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობაში და უწინარეს ყოვლისა სწრაფად წავწიოთ წინ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მივიღოთ გადამწყვეტი ზომები ძროხის სულადობის გადიდებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობა ომისშემდგომ წლებში მაღალი ტემპით იზრდებოდა. 1953 წლის დამდეგისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 10,2 მილიონი სულით, მათ შორის ძროხის სულადობა — 2,8 მილიონი სულით, ცხვრისა და თხის სულადობა — 35,3 მილიონი სულით, ღორის სულადობა — 7,9 მილიონი სულით, მოზრდილი ფრინველის სულადობა — 58 მილიონი ფრთით.

პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში შეიძლება გაიზარდოს უფრო მაღალი ტემპით, თუ გადავლახავთ სერიოზულ სიძნელეებს, რომლებიც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გზაზე წამოიჭრა და რომლებმაც უკვე გამოიწვია ჯოგის მომრავლების პროცესის შენელება. საქმე ეხება იმას, რომ საკვების წარმოება, სადგომების მშენებლობა და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია მეცხოველეობაში მკვეთრად ჩამორჩა პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის მატების ტემპს.

შეგვიძლია თუ არა ეს სიძნელეები დავძლიოთ უმოკლეს ვადაში? დიახ, უთუოდ შეგვიძლია და კიდევაც დავძლევთ, თუ უკეთ გავუწევთ ხელმძღვანელობას მეცხოველეობის განვითარებას, თუ შევარჩევთ კარგ კადრებს ფერმებში სამუშაოდ, სათანადოდ გამოვზრდით ამ კადრებს და გავაძლიერებთ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ეკონომიურ დაინტერესებას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით.

ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, მინდა შევეხო მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პრაქტიკას. ამჟამად დამზადებათა განხორციელებისას საქმე ხშირად ამოიწურება კოლმეურნეობათა შორის დავალებების მექანიკური განაწილებით მათი პირუტყვის სულადობის შესაბამისად, ხოლო ჩაბარების ჰექტარობრივი პრინციპი უხეშად ირღვევა. მოწინავე კოლმეურნეობანი, რაიონები, ოლქები, რომელთაც განვითარებული მეცხოველეობა აქვთ, ყოველწლიურად იღებენ სულ უფრო დიდ დავალებებს მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დარგში, ხოლო იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც ნაკლებ ზრუნავენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, წესდება ნაკლები, არსებითად შეღავათიანი ნორმები. ასეთი პრაქტიკა ძირს უთხრის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ეკონომიურ დაინტერესებას საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებით და მისი პროდუქტიულობის ამაღლებით.

აი დამახასიათებელი მაგალითი. მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობანი ყოველ ჰექტარ სახნავ მიწაზე, მდელოსა და საძოვარზე სახელმწიფოს აბარებენ 39,5 ლიტრ რძეს, ხოლო რიაზანის ოლქის კოლმეურნეობანი — მხოლოდ 14,8 ლიტრს. მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონსა და რიაზანის ოლქის რიბნოეს რაიონს დაახლოებით თანასწორი პირობები აქვთ მეცხოველეობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ლუხოვიცის რაიონის კოლმეურნეობანი თვითეულ ჰექტარზე სახელმწიფოს აბარებენ 57 ლიტრ რძეს და 5,5 კილოგრამ ხორცს, ხოლო რიბნოეს რაიონის კოლმეურნეობანი — 31 ლიტრ რძეს და 4,7 კილოგრამ ხორცს.

არაფრით არ შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ უკრაინის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ყოველ ჰექტარზე სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ მნიშვნელოვნად მეტი მეცხოველეობის პროდუქტები, ვიდრე, მაგალითად, ბელორუსიის კოლმეურნეობებმა.

მაგალითად, უკრაინის კოლმეურნეობებისათვის ჩაბარებათა ნორმა თვითეულ ჰექტარზე დაწესებულია ხორცისა — 6,3 კილოგრამი, რძისა — 25 ლიტრი, ხოლო ბელორუსიის კოლმეურნეობებისათვის — შესაბამისად 3,9 კილოგრამი და 12,8 ლიტრი. ბელორუსიას ხომ მეცხოველეობის და განსაკუთრებით მეღორეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები აქვს. ბელორუსიის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნამდვილად არ იბრძვიან ჯოგის სულადობის გადიდებისა და მაღალი პროდუქტიულობისათვის. შემთხვევითი როდია, რომ 1952 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ერთ ღორზე ნაკლები გაასუქეს 100 ჰექტარ სახნავზე, ღორის ხორცის ხვედრითი წონა ხორცის დამზადებაში მხოლოდ 13 პროცენტს შეადგენდა.

რით შეიძლება გამართლდეს სხვადასხვაობა, რომელსაც უშვებენ იმ კოლმეურნეობებისათვის ჩაბარების ნორმების დაწესების დროს, რომელთაც მეცხოველეობის განვითარების დაახლოებით თანაბარი პირობები აქვთ? დამამზადებლები ცდილობენ გაამართლონ იგი კოლმეურნეობების, რაიონებისა და ოლქების ეკონომიური განვითარების დონის განსხვავებით. მათი აზრით, უფრო განვითარებულმა მეურნეობამ მეტი პროდუქტები უნდა ჩააბაროს: რაკი შენ წელს მეტი მოზარდეული შეინარჩუნე, მეტი რძე მიიღე, დავალებაც მეტი გქონდეს. საკმარისია კოლმეურნეობა ასცილდეს თავისი მეზობლის დონეს, რომ დამამზადებლებმა შეკრიჭონ იგი სწორედ ისე, როგორც მებაღე სკვერში მაკრატლით შეკრეჭს ხოლმე ბუჩქს.

ასეთ შეუწყნარებელ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს. მტკიცედ უნდა იქნას დაცული პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებული მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ჰექტარობრივი პრინციპი, ისე რომ ერთი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, როგორც წესი, ერთი ჰექტარობრივი ნორმა მოქმედებდეს. მხოლოდ მაშინ, როცა სხვადასხვა ხარისხისაა მიწა, შეიძლება, გამონაკლისის სახით, დავუშვათ ერთგვარი გადახვევა რაიონის საშუალო ნორმისაგან.

საზოგადოებრივი მეცხოველეობას განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დაინტერესება, როგორც უკვე ვთქვი, დიდად არის დამოკიდებული მეცხოველეობის პროდუქტების დასამზადებელ ფასებზე. კოლმეურნეობები დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდებასთან დაკავშირებით უკვე წელს მიიღებენ რძისა და ხორცის ჩაბარებისაგან 3,8 მილიარდ მანეთამდე დამატებით შემოსავალს. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებითა და მიყიდვით მიღებული თანხა მეცხოველეობასაგან კოლმეურნეობათა შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდება.

იმის გამო, რომ მეცხოველეობა საკმაოდ განვითარებული არ არის, კოლმეურნეობათა ნაწილს დავალიანება აქვს მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების დარგში. პარტიისა და მთავრობის სათანადო გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია, რომ კოლმეურნეობებს ჩამოეწეროს მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალიანება, რაც მათ გასულ წლებში დაედოთ, რათა შეიქმნას სოფლის მეურნეობის ამ დარგის რაც შეიძლება სწრაფი აღმავლობის დამატებითი შესაძლებლობანი. ასეთივე ღონისძიების განხორციელება გათვალისწინებული იმ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიმართ, რომლებსაც აქვთ გასული წლების დავალიანება მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დარგში, რათა შესაძლებლობა მივცეთ რაც შეიძლება მალე შეიძინონ ძროხები.

სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ არა მარტო მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პრაქტიკაში, არამედ მეცხოველეობის განვითარების სხვა საკითხებშიც. მთელი რიგი წლების მანძილზე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელები და ადგილობრივი ორგანოების მრავალი ხელმძღვანელი ნამდვილად არ წუხდნენ მეცხოველეობის მდგომარეობისათვის, ურიგდებოდნენ იმას, რომ კარგი მდგომარეობა არ ჰქონდათ, არ აყენებდნენ და არ წყვეტდნენ მეცხოველეობის აღმავლობის დიდი ხნის მომწიფებულ საკითხებს.

ნება მიბოძეთ ამ მდგომარეობის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცუდად არის ძროხის სულადობის საქმე. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანო გამოეკიდნენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის საერთო გადიდებას და შესუსტეს ძროხის სულადობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის ზრუნვა.

1952 წელს კოლმეურნეობებს შეეძლოთ 1,5 მილიონით გაედიდებინათ ძროხის სულადობა, მაგრამ მხოლოდ 500 ათასით გაადიდეს. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ, თურმე, ღორებისა და გასუქებული ხარების ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარებას ანგარიშში გადაეცა 1 მილიონამდე ძროხა და ამავე დროს გაიყიდა და შინასაკოლმეურნეო საჭიროებას მოხმარდა 500 ათასი ძროხა. 1,5 მილიონი ძროხის დაკლებამ ერთი წლის განმავლობაში შეადგინა კოლმეურნეობათა ძროხის საერთო სულადობის 18 პროცენტი. ვოლოგდის ოლქის საკოლმეურნეო ფერმებში ამავე მიზეზით ძროხის დაკლებამ 1952 წელს შეადგინა მათი საერთო სულადობის 23 პროცენტი, ყაზახეთის სსრ-ში—24 პროცენტი, კიროვის, მოლოტოვისა და ვლადიმირის ოლქებში — 26 პროცენტი.

1953 წლის დამდეგისათვის ძროხა ჩვენს ქვეყანაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობაში შეადგენდა 43 პროცენტს, ნაცვლად 51 პროცენტისა 1941 წელს. კოლმეურნეობებში ძროხის ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობაში ახლა უდრის 28 პროცენტს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 31 პროცენტს.

საკმაო რაოდენობის რძის მისაღებად ჯოგში უნდა იყოს სულ ცოტა 50 პროცენტი ძროხა, საგარეუბნო რაიონებში—სულ ცოტა 60 პროცენტი და ყაზახეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, ასტრახანის, ჩკალოვისა და ჩიტის ოლქების, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ-ისა და ტუვის ავტონომიური ოლქის ველის, ნახევრადველის და მაღალი მთის რაიონების კოლმეურნეობებში—სულ ცოტა 40 პროცენტი. მაგრამ რძის რა სიუხვეზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებს ჯოგში ჰყავთ მხოლოდ 26 პროცენტი ძროხა, უკრაინის სსრ, კურსკისა და ვორონეჟის ოლქებს — 24 პროცენტი თვითეულს, როსტოვის ოლქს — 21 პროცენტი, მოლდავეთის სსრ—19 პროცენტი.

ძროხის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირებაა დაშვებული მერძეული მესაქონლეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს რაიონებში, როგორიც არის ვოლოგდის, არხანგელსკის, იაროსლავლის, ტამბოვის, მოლოტოვის, სვერდლოვსკის, ყურგანის, ომსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქები. ძროხის სულადობის არასაკმაო ზრდით აიხსნება ის ფაქტიც, რომ იმ რაიონებში, სადაც დიდი ხანია ჩამოყალიბებულია ერბო-კარაქის სასაქონლო წარმოება, ამჟამად ერბო-კარაქს წინანდელზე ნაკლებს აწარმოებენ. მაგალითად, ციმბირში 1913 წელს აწარმოებდნენ 75 ათას ტონა ერბო-კარაქს, ხოლო 1952 წელს — 65 ათას ტონას.

ძროხის სულადობის ზრდის მხრივ ჩამორჩებიან საბჭოთა მეურნეობებიც. ამჟამად მათ ჰყავთ 1.300 ათასი ძროხა, ესე იგი 500 ათასი სულით ნაკლები, ვიდრე 1935 წელს ჰყავდათ. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მუშაკთა უცნაური „თეორიით“ 200 ათას ძროხას საბჭოთა მეურნეობებში კი არ წველიან, არამედ იყენებენ ხბოების მოსაწოვებლად; ამის შედეგად სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავს სულ ცოტა 200 ათას ტონა რძეს. როგორც პარტიის მთის ალტაის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. სოროკა იუწყება, ალტაის მხარის აბაისა და კოქსას საბჭოთა მეურნეობებში ოთხი წლის წინათ შეწყდა ორი ათასი სიმენტალის ჯიშის ძროხის წველა. ზოგიერთი მათგანი იძლეოდა 3.000-მდე კილოგრამ რძეს. ეს კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ 35 ათას ცენტნერ რძეს, ხოლო ახლა ხბოებს აწოვებენ და დიდი რაოდენობით ანიავებენ და იტაცებენ.

დადგენილების პროექტით დასახულია ძროხის სულადობა 1954 წელს გადიდდეს 29,2 მილიონ სულამდე ანუ 4,9 მილიონი სულით 1953 წლის დასაწყისთან შედარებით, მათ შორის კოლმეურნეობებში—11,5 მილიონ სულამდე ანუ 3 მილიონი სულით იმავე დროში. გათვალისწინებულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებულად ჩაითვალოს იმ პირობით, თუ შესრულდება ძროხის სულადობის გეგმაც.

როგორც ცნობილია, პირუტყვის ყველა სახეობის მიხედვით დაგეგმვა და გეგმის შესრულების აღრიცხვა მრავალი წლის მანძილზე ხდებოდა ყოველი წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ასეთ წესს ზიანის მეტი არაფერი არ მოაქვს. ცდილობენ რა სულადობის ზრდის გეგმის შესრულებას, კოლმეურნეობები იძულებული არიან ფერმებში 1 იანვრამდე დიდი რაოდენობით შეინარჩუნონ არაპროდუქტიული და დაწუნებული პირუტყვი, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად, გასაყიდად და ხორცად გამოსაყენებლად, შეისყიდონ კოლმეურნეებისაგან ხბოები, მიმართონ საშემოდგომო დაგოჭიანებას და შეინახონ „მამლის“ ფერმები.

1 იანვარს აღწერის შემდეგ კოლმეურნეობანი ერთბაშად თავიდან იშორებენ პირუტყვის მნიშვნელოვან სულადობას. მაგალითად, 1951 წლის დეკემბერში მთელ ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 232 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ხოლო 1952 წლის იანვარში—889 ათასი. უკრაინის სსრ კოლმეურნეობებმა 1951 წლის დეკემბერში ჩააბარეს 16,7 ათასი სული პირუტყვი, ხოლო 1952 წლის იანვარში—219 ათასი ე. ი. 13-ჯერ მეტი. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამონაგარიშებით, ხორცის ჩაბარების გეგმის შესასრულებლად 1952 წლის 1 კვარტალში კოლმეურნეობებმა ჩააბარეს 200 ათასი სულით მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ვიდრე უნდა ჩაებარებინათ, იმიტომ, რომ ჩასაბარებელი პირუტყვი საკვების ნაკლებობისა და ზამთრის პერიოდში ცუდად კვების შედეგად დაუძლურებული იყო. ამან დიდი ზარალი მიაყენა კოლმეურნეობებსაც და სახელმწიფოსაც.

სამეურნეო წელიწადი მეცხოველეობაში ფაქტიურად მთავრდება 1 ოქტომბერს. ამ დროისათვის მთავრდება საკვების დამზადება და სადგომების მომზადება გამოზამთრებისათვის, ხოლო ცხოველები კარგად გასუქებულია, რაც კოლმეურნეობებს შესაძლებლობას აძლევს ხორცის ჩაბარება შეასრულონ ზაფხულის საძოვარზე გასუქებული, უფრო დიდი წონისა და ნაკლები რაოდენობის პირუტყვით. ოქტომბრის დამდეგისათვის კოლმეურნეობებში მთავრდება პირუტყვის სამეურნეო დანიშნულების განსაზღვრა (საჯიშედ დატოვება, დაწუნება და სხვ.). ამიტომ უნდა დაწესდეს, რომ სამეურნეო წელიწადი მეცხოველეობაში იწყებოდეს 1 ოქტომბერს.

მეცხოველეობის განვითარების დარგში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლოვანებაა სადედე სულადობის ბერწიანობის მეტისმეტად დიდი პროცენტი და პირუტყვის, განსაკუთრებით მოზარდეულის დიდი სიკვდილიანობა. შარშან კოლმეურნეობებმა 100 დედაზე გაანგარიშებით მიიღეს ხბოები 11 სულით ნაკლები, ვიდრე 1940 წელს, ბატკნები — 27 სულით და გოჭები — 163 სულით ნაკლები. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ნოვგოროდის, კოსტრომის, კურგანის ოლქებისა და ალტაის მხარის კოლმეურნეობებში სიკვდილიანობის გამო კარგავდნენ ყოველ მესამე ხბოს, ვოლოგდისა და ივანოვოს ოლქების კოლმეურნეობებში—1952 წელს ყოველ მეორე ბატკანს, ვორონეჟის, ტამბოვის, როსტოვის ოლქების კოლმეურნეობებში — ყოველ მეხუთე გოჭს, ხოლო ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — ყოველ მეოთხეს.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი სხვა მაგალითი, რომელიც მოწმობს, რომ მეცხოველეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. მაგრამ საქმე მაგალითების რაოდენობა როდია. ერთი რამ ცხადია: მეცხოველეობა რომ გამოვიყვანოთ იმ თავმინებებული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი ამჟამად არის, საჭიროა სხვა ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, გადაჭრით ავამაღლოთ მეცხოველეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის დონე.

დადგენილების პროექტში დასახულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ 1954 წელს მიღწეულ იქნას ყველა სა-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

ხეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი მატება, აგრეთვე გადიდდეს წველადობა, მატყლის ნაპარსი, პირუტყვის ზაგური და საძოვარზე გასუქება.

პირუტყვის სულადობის გათვალისწინებულ ზრდასთან და მისი პროდუქტიულობის გადიდებასთან დაკავშირებით დასახულია მომავალ წელს ხორცის დამზადების საერთო მოცულობა გადიდდეს 4,1 მილიონ ტონამდე (ნაცვლად 1952 წელს დამზადებული 3 მილიონი ტონისა), რძისა — 14,3 მილიონ ტონამდე (ნაცვლად 1952 წელს დამზადებული 10 მილიონი ტონისა), კვერცხისა — 4,3 მილიარდ ცალამდე (ნაცვლად 1952 წელს დამზადებული 2,6 მილიარდი ცალისა), მატყლისა — 230 ათას ტონამდე (ნაცვლად 1952 წელს დამზადებული 182 ათასი ტონისა). მე უკვე ვთქვი, რომ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება მოხდება ახალ, უფრო დიდ ფასებში.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მდგომარეობა პირუტყვის საკვების მხრივ. საკვები ბაზის უყურადღებოდ მიტოვებამ ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში სრულიად შეუწყნარებელი ხასიათი მიიღო.

ამა თუ იმ საკვების წარმოების გაფართოების საკითხი უნდა წყდებოდეს ზონის ნიადაგისა და ჰავის პირობების მიხედვით. მაგრამ ყველა ზონისათვის წესი უნდა გახდეს წვნიანი საკვების წარმოების ყოველი ღონისძიებით გაფართოება, ურომლისოდაც არ შეიძლება ძროხის წველადობის მკვეთრად გადიდება. მაგალითად, ცენტრალური რაიონებისათვის ეს იქნება კარტოფილი, საკვები ჭარხალი და შაქრის ჭარხალი, სტაფილო, ყაბაყი, გოგრა, ტურნეფსი, სამხრეთი რაიონებისათვის კი — საკვები საზამთრო, გოგრა, ყაბაყი, ჭარხალი.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასილოსე სიმინდის, მზესუმზირას, საკვები კომბოსტოს და ზოგიერთი სხვა კულტურის მოყვანას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი ძვირფასი საკვები კულტურა, როგორიც არის სიმინდი. შემთხვევითი როდია, რომ სიმინდი ფართოდ გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია მეცხოველეობა. ხოლო სსრ კავშირში, იმ რაიონებშიც კი, სადაც სიმინდი საუკეთესოდ ხარობს, მას მეტად მცირე ფართობი უკავია.

სსრ კავშირის ბევრ ოლქში სიმინდის მოყვანის ხელსაყრელი პირობებია. შეიძლება მოვიყვანოთ იმის ბევრი მაგალითი, რომ უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სიმინდის დიდი მოსავალი მოჰყავთ. პოლტავის ოლქის კომინტერნის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომმა ამხ. ტარანმა, გამოიყენა რა თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, ჯერ კიდევ 1948 წელს მიაღწია დიდი ფართობის თვითეულ ჰექტარზე სიმინდის 70 ცენტნერი მარცვლის საშუალო მოსავალს. დნეპროპეტროვსკის ოლქის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. შჩერბინა) სიმინდის საშუალო მოსავალი ხუთი წლის განმავლობაში ჰექტარზე 50 ცენტნერ მარცვალს შეადგენდა. მე უკვე არ ვლაპარაკობ დნეპროპეტროვსკის ოლქის ლიხოვკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის" ამ საქმის ცნობილი ოსტატის მარკოზ ესტატეს-ძე ოზერნოის შესანიშნავ წარმატებებზე სიმინდის მოყვანაში. იგი წლითიწლობით იღებს უხვ მოსავალს, ხოლო 1949 წელს მიიღო სარეკორდო მოსავალი — 224 ცენტნერი სიმინდი ჰექტარზე.

მოსკოვის ოლქის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სიმინდი ცენტრალურ რაიონებში იძლევა სასილოსე მასის უხვ მოსავალს. კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისას სრული გარანტიაა მივიღოთ 500 და მეტი ცენტნერი სასილოსე მასა ჰექტარზე. მაგალითად, მოსკოვის მიდამოების კოლმეურნეობამ „ახალი ცხოვრების გზამ" და საბჭოთა მეურნეობამ „გორკი-II" თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს სულ ცოტა 700-800 ცენტნერი სასილოსე სიმინდი. კოლმეურნეობათა უმეტესობას რომ მოჰყავდეს არა 700-800, არამედ თუნდაც 250-300 ცენტნერი მწვანე მასა სიმინდის ნათესების თვითეულ ჰექტარზე, ეს საკმაო იქნებოდა, რომ მიგვეღო 225-260 კილოგრამი კარაქი ერთ ჰექტარ ნათესზე გადაანგარიშებით.

ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი უჩივის საკვების ნაკლებობას და ამავე დროს აყენებს სიმინდის ნათესების შემცირების საკითხს. კერძოდ, ამაში სცოდავენ ჩვენი უკრაინელი ამხანაგები. საკითხავია, რომელილა უფრო მოსავლიანი კულტურა შეუძლიათ მათ დაასახელონ საფურაჟე კულტურებს შორის?

საჭიროა მიღებულ იქნას ენერგიული ღონისძიებანი სიმინდის მარცვლის წარმოების გასადიდებლად, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სასილოსე სიმინდის მოყვანის ზონა. საჭიროა სასილოსე სიმინდის ნათესები გავრცელდეს ცენტრალურ-შავნიადაგიანი ზონისა და არაშავნიადაგიანი ზოლის მეტწილ ოლქებში, აგრეთვე ბელორუსიისა და ბალტიისპირა რესპუბლიკების რაიონებში. სასილოსე სიმინდის ნათესების გაფართოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის სამხრეთი რაიონების და ყაზახეთის ჩრდილოეთი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სასილოსე სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების ნათესების გაფართოებისას უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აშენდეს სასილოსე ნაგებობანი ისეთი მოცულობით, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვემზადებინა 5-6 ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი ერთ ძროხაზე გაანგარიშებით.

პარტიულმა ორგანოებმა, განსაკუთრებით ცენტრალურ შავნიადაგიან და არაშავნიადაგიან ოლქებში, გადაჭრით უნდა დაძლიონ კვების მიზნებისათვის კარტოფილის მოყვანის შეუფასებლობა.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გამოყენებისა და გაუმჯობესების მხრივ. 1952 წელს კოლმეურნეობებში თივა დამზადებული იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულზე გაანგარიშებით 9,6 ცენტნერი 1940 წელს დამზადებული 11 ცენტნერის ნაცვლად. საჭიროა მკვეთრად გავადიდოთ ბუნებრივი და ნათესი ბალახების მოსავალი, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ იონჯის, სამყურას, ტიმოთელას, ესპარცეტის ნათესები. სამხრეთ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სუდანურა, რადგან იქ იგი მშვენიერი ხარისხის ბევრ თივას იძლევა. ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონებისათვის კარგია ცერცველისა და შვრიის ნარევი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ უნდა დაინერგოს პირუტყვის შენახვის ბაგურ-ბანაკური სისტემა და მწვანე კონვეიერი როგორც ძროხების რძის პროდუქტიულობის გადიდების ეფექტიანი ღონისძიება.

მეცხოველეობის საქმის წინ წაწევა არ შეიძლება, თუ პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა ჯეროვნად არ მოჰკიდეს ხელი მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამავე დროს ბევრი პარტიული და საბჭოთა მუშაკი საკვების წარმოებასა და დამზადებას ეპყრობა როგორც მეორეხარისხოვან საქმეს. ამ სამუშაოსადმი კონკრეტულ და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ზოგიერთი ამხანაგი ცვლის იერიშობანით, მაღალფარდოვანი დეკლარაციებით.

აი, მაგალითად, როგორ წარმოუდგენია იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია საკვების დამზადებასთან, პარტიის ვოლოგდის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. სიომინს. პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, რომელიც შემდეგ საოლქო გაზეთში გამოქვეყნდა, მან თქვა: „უნდა დავრწმუნდეთ, რომ მეცხოველეობაში პირველი საქმე, ძირეული მიზეზი საკვები ბაზა როდია. ჯერ ხელმძღვანელობა, ხოლო შემდეგ უკვე საკვები ბაზა". შემდეგ მან წინადადება შეიტანა თიბვა მოეწყოს იერიშობანას მეთოდით 10-15 დღეში. „მხოლოდ საყოველთაო იერიშით, — ამბობდა იგი, — შეიძლება ამ ბრძოლის მოგება". ამხ. სიომინი მოითხოვს „შეიქმნას საკოლმეურნეობათაშორისო, ანდა რაიონული შტაბები, რომლებიც მოაწყობდნენ და უხელმძღვანელებდნენ მთელ სამუშაოს".

საკითხავია, სადღა არიან პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები და როგორია მათი როლი, თუ კი თივის აღებას ხელმძღვანელობენ რაღაც მოგონილი საკოლმეურნეობათაშორისო შტაბები? პარტიის ვოლოგდის საოლქო კომიტეტმა და საოლქო აღმასკომმა თავი აარიდეს საკვების დამზადებისადმი ხელმძღვანელობას. ამის შედეგად ოლქში 25 აგვისტოსათვის ჯერ კიდევ არ იყო მოთიბული 159 ათასი ჰექტარი ბუნებრივი სათიბი და ნათესი ბალახები, ხოლო სილოსის ჩადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 57 პროცენტით.

თუ საკვების პრობლემა არ გადაიჭრა, არ შეიძლება მივაღწიოთ პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებას. ჩვენ ვეღარ შევურიგდებით იმას, რომ უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც წველადობა კოლმეურნეობებში ერთ ძროხაზე არ აღემატება 1.000-1.070 კილოგრამს. ეს სრულიად შეუწყნარებელია. აკი მოწინავე მეურნეობანი ისეთები, როგორიცაა კოსტრომის ოლქის საბჭოთა მეურნეობები „კარავაევო", „გორკი-II", „ლესნიე პოლიანი", „ხოლმოგორკა", კოლმეურნეობა „12 ოქტომბერი", არხანგელსკის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნ" უხვად აძლევენ რა წვნიან საკვებს, მთელი რიგი წლების მანძილზე აღწევენ საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღონ 4.500-5.000-6.000 და მეტი კილოგრამი რძე.

სერიოზული ყურადღების ღირსია საკითხი მეღორეობის პროდუქტიულობის გადიდების შესახებ ღორების გასუქების ყოველი ღონისძიებით გაფართოების გზით, რადგან მეღორეობის პროდუქციას ჯერ კიდევ არ უკავია სათანადო ადგილი ჩვენი ქვეყნის ხორცის რესურსებში. მეღორეობის საერთო პროდუქციის გამოსავალი 1952 წელს შეადგენდა სულ 1,6 მილიონ ტონას 1940 წლის 1,5 მილიონ ტონასთან შედარებით.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მატყლის წარმოების გადიდებას. მთელ რიგ ოლქებსა და რაიონებში მიღწეულია ცხვრის მატყლის დიდი ნაპარსი. სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში მთლიანად 1952 წელს ცხვარზე მოდიოდა 5,2 კილოგრამი წმინდა მატყლის ნაპარსი. მაინც ჩვენს ქვეყანაში მატყლის წარმოება არასაკმაოა. სასტიკად გასაკრიტიკებელი არიან ყაზახეთის სსრ ხელმძღვანელები. რესპუბლიკაში ამჟამად 17 მილიონი ცხვარი და თხაა, ხოლო 1928 წელს 19 მილიონზე მეტი იყო. თუმცა წმინდა მატყლიანი ცხვრის სულადობა 1940 წელთან შედარებით 4-ჯერ და უფრო გადიდდა, ამავე დროს მატყლის საშუალო ნაპარსი 2,4 კილოგრამიდან 1,9 კილოგრამამდე შემცირდა. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ მატყლის ჩაბარების გეგმა ყაზახეთში მხოლოდ 60-70 პროცენტით სრულდება.

საკვების პრობლემის გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში საკვების მოპოვების მექანიზაციის დონის შემდგომ ამაღლებას. უკანასკნელ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა მტს-ების მუშაობის მოცულობა თივის თიბვისა და საკვების დასილოსების მექანიზაციის დარგში, მაგრამ საკვების მოპოვების საქმეში მტს-ების მონაწილეობის საერთო დონე კვლავ მეტად დაბალია და მკვეთრად ჩამორჩება მარცვლეულის მეურნეობის მექანიზაციის უკვე მიღწეულ დონეს.

განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება მოკლე ვადაში თივის აღებასა და დაზვინვას. ამ სამუშაოთა გაჭიანურება იწვევს თივის ხარისხის დიდად გაუარესებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გადაბერებული ან მოთიბული, მაგრამ დიდხანს დაუზვინავი თივა კარგავს ყველაზე ძვირფას მასაზრდოებელ ნივთიერებებს. მაშასადამე, თივის აღების გაჭიანურებით ჰექტარზე გაცილებით ნაკლებ საკვებ ერთეულს ვიღებთ.

დაპროექტებულია 1954-1955 წლებში თივის თიბვისა და მოფოცხვის მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას 80 პროცენტამდე, თივის დაზვინვისა — 65 პროცენტამდე, საკვების დასილოსებისა — 75 პროცენტამდე, სასილოსე კულტურებისა და საკვები ძირხვენა მცენარეების თესვისა და მწკრივთაშორისი დამუშავებისა — 95 პროცენტამდე. დასახულია აგრეთვე მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მტს-ების მუშაობა მდელოებისა და საძოვრების ძირეულად გაუმჯობესების საქმეში. ამასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას სადგომებით პირუტყვის მთელი სულადობა. უნდა გადიდდეს კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების მიყიდვა ცენტროსოიუზის ხაზით, აგრეთვე ადგილობრივი კოოპერაციული და სახელმწიფო მრეწველობის ხაზით. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, კოლმეურნეობებს უნდა მიეცეთ რჩევა თავიანთი ძალებითა და სახსრებით დაამზადონ აგური, კრამიტი და კირი აღნიშნული მასალების მხრივ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

აქამდე ლაპარაკი იყო საზოგადოებრივი მეცხოველეობის ჩამორჩენილობის მიზეზებსა და აღმავლობის გზებზე. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმ პირუტყვსაც, რომელიც საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაშია. მდგომარეობა აქაც არადამაკმაყოფილებელია. ომამდელ დონესთან შედარებით ძროხის სულადობა, რომელიც მოსახლეობის პირად საკუთრებაშია, 6,5 მილიონი სულით შემცირდა. კოლმეურნეთა უძროხო მეურნეობების რაოდენობა 45 პროცენტამდე გადიდდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებულმა ახალმა კანონმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შექმნა პირუტყვის მოშენებით კოლმეურნეთა დაინტერესების გადიდების პირობები. საჭიროა, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სავსებით მოუღონ ბოლო კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის საკითხში კოლმეურნეთა ინტერესების შებღალვის არასწორ პრაქტიკას. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც არ ესმით პარტიის პოლიტიკა, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა, შეუძლიათ იფიქრონ, რომ საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაში პროდუქტიული პირუტყვის ყოლა იმ ნორმების ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, რაღაც საფრთხეს წარმოადგენს სოციალისტური წყობილებისათვის. ბოლო უნდა მოეღოს აგრეთვე ცრურწმენას, თითქოს მუშისა და მოსამსახურისათვის სათაკილოა პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლა.

ზემოხსენებული ღონისძიებანი კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების პირად საკუთრებაში პირუტყვის მოსაშენებლად სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შესუსტდეს ყურადღება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმისადმი.

მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრის მთავარი გზა იყო და არის საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის გზა. დადგება დრო, როცა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება მიაღწევს ისეთ დონეს, რომ კოლმეურნის პირად მოთხოვნილებას მეცხოველეობის პროდუქტების მხრივ მთლიანად დააკმაყოფილებს საზოგადოებრივი მეურნეობა, და მაშინ კოლმეურნისათვის ხელსაყრელი არ იქნება იყოლიოს პირუტყვი პირად საკუთრებაში.

მაგრამ სანამ ასეთი მდგომარეობა არა გვაქვს, სანამ საზოგადოებრივ მეცხოველეობას ჯერ კიდევ არ შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს მთელი მოსახლეობის, მათ შორის კოლმეურნეთა მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტების მხრივ, კოლმეურნე კომლის პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლა ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება საზოგადოებრივ მეცხოველეობას და, მაშასადამე, ხელსაყრელია როგორც კოლმეურნეებისათვის, ისე კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის.

ამრიგად, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის დარგში საჭიროა:

გადაჭრით გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა მეცხოველეობის განვითარებისადმი, შერჩეულ იქნას მუდმივი კარგი კადრები ფერმებში სამუშაოდ;

გაძლიერდეს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ეკონომიური დაინტერესება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით; განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი საზოგადოებრივი პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხის, სულადობის გასამრავლებლად და მისი პროდუქტიულობის გასადიდებლად, რათა უკვე 1954 წელს მიღწეულ იქნას სერიოზული წარმატებანი;

განმტკიცდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზა, უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის მთელი სულადობა საკმაო რაოდენობის საკვებით; ამაღლდეს საკვების მოპოვებისა და ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე, აშენდეს საზოგადოებრივი პირუტყვის მთელი სულადობისათვის კარგი შენობები, გაუმჯობესდეს პირუტყვის მოვლა-შენახვა; გაეწიოს დახმარება კოლმეურნეებს პროდუქტიული პირუტყვის შეძენაში.

ამხანაგებო! მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის და ახლა პარტიისა და სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენ დიდი და რთული სამუშაო გვაქვს შესასრულებელი. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს სიძნელეები, ეს საქმე წარმატებით უნდა დავაგვირგვინოთ და უახლოეს ორ-სამ წელიწადში მივაღწიოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

## 3. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და დამზადების შესახებ

შემდეგი გადაუდებელი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს, არის კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების საკითხი. მოთხოვნილება კარტოფილისა და ბოსტნეულის მხრივ იმდენად გადიდდა, რომ მათი წარმოების ახლანდელი დონე ცნობილ უნდა იქნას სრულიად არასაკმარისად. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ კულტურების მოსავლიანობა და საერთო მოსავალი არათუ არ დიდდება, არამედ კიდევაც მცირდება. ბოსტნეულის ნათესი 1940 წელთან შედარებით 250 ათასი ჰექტარით შემცირდა. კარტოფილის ნათესი მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადიდდა, მაგრამ ცალკეულ ოლქებში მას სულაც არ მიუღწევია ომამდელი დონისათვის. ნოვგოროდის ოლქში კარტოფილის ფართობი კოლმეურნეობებში ომამდელ დონესთან შედარებით შეადგენს 33 პროცენტს, ველიკიე ლუკის ოლქში — 59, სმოლენსკისაში — 61 პროცენტს.

მაგრამ განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს ბევრ რაიონში მოსავლიანობის შემცირება, რასაც მოჰყვა კარტოფილის საერთო მოსავლის შემცირება.

კარტოფილის საერთო მოსავლის შემცირება, ბოსტნეულის არასაკმაო წარმოება ხელს გვიშლის სერიოზულად გავაუმჯობესოთ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელთა ამ პროდუქტებით მომარაგება, ხოლო კვების მრეწველობის საწარმოების — ნედლეულით მომარაგება. კარტოფილის ნაკლებობა, როგორც უკვე ვთქვით, უარყოფით გავლენას ახდენს მეცხოველეობის განვითარებაზეც.

რით აიხსნება, რომ უდიდესი შესაძლებლობის პირობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება კოლმეურნეობებში ამ უკანასკნელ ხანს არ მატულობს, ხოლო ბევრ რაიონში კიდევაც მცირდება?

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია ამ კულტურების განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სუსტი მატერიალური დაინტერესება. თუ სხვა კულტურებში, როგორიცაა ბამბა, შაქრის ჭარხალი, ჩაი, ციტრუსები, ჩვენში წარმოების გადიდებისათვის მატერიალური წახალისების მთელი სისტემა არსებობს, კარტოფილსა და ბოსტნეულში ეს დღემდე არ არის. არასაკმარისი დასამზადებელი ფასები, დამამზადებელი ორგანოების არასწორი მიდგომა ჩაბარების ნორმების გამოანგარიშებისადმი, კერძოდ ნორმების გადიდება საგარეუბნო რაიონების და კვების მრეწველობის ზონების კოლმეურნეობებისათვის, უფრო დიდი ნორმების დაწესება მოწინავე კოლმეურნეობებისათვის ძირს უთხრიდნენ ამ კულტურების წარმოებას გადიდებით კოლმეურნეობათა დაინტერესებას.

საჭიროა გამოსწორდეს ხსენებული ნაკლოვანებანი და შეიქმნას კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებას გადიდების სერიოზული მატერიალური სტიმულები. ასეთი სტიმულებია კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების გადიდება, სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირება და გადიდებულ ფასებში შესყიდვის გაფართოება, მარცვლეულის ჩაბარების მხრივ შეღავათები ამ კოლმეურნეობებისათვის, რომელთაც კარტოფილისა და ბოსტნეულის დიდი ხვედრითი წონა აქვთ.

მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ დასამზადებელი ფასების გადიდების მხრივ იმის მაქსიმუმი გავაკეთეთ, რის გაკეთებაც შეიძლება. კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების შემდგომი გადიდება შეუძლებელია. თუ ამ გზას გავყევით კვლავაც, კარტოფილისა და ბოსტნეულის ვაჭრობა საზარალო იქნება. მაშინ კარტოფილისა და ბოსტნეულის საცალო ფასების შემცირების ნაცვლად, რასაც პარტია და მთავრობა განუხრელად ახორციელებენ, მოგვიხდებოდა საცალო ფასების გადიდება, რაც ხალხის სასარგებლო არ არის. რასაკვირველია, პარტია და მთავრობა ამას ვერ იზამენ და არც იზამენ.

მაშასადამე, მთავარი ის არის, რომ ჩვენი ღონისძიებანი წარვმართოთ მოსავლიანობის გასადიდებლად, რომელიც ჯერ კიდევ მეტად მცირეა. ამავე დროს მოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობა უდიდესია. საშუალო კოლმეურნეობები ჰექტარზე 140-150 ცენტნერ კარტოფილს იღებენ, მაშინ როცა ბევრი ასეული მოწინავე კოლმეურნეობა 200-300 ცენტნერს იღებს. კიდევ უფრო შესანიშნავ შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობის ათასობით მოწინავემ. უკრაინელმა კოლმეურნემ მართა ხუდოლიმ 800 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა ჰექტარზე, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეებმა ამხ. დიანოვამ და ამხ. კოჟუხანცევამ — ჰექტარზე 500 ცენტნერზე მეტი.

თუ მომავალ წელს შევძლებთ კარტოფილის მოსავლიანობა ყველა კოლმეურნეობაში ავიყვანოთ თუნდაც საშუალო კოლმეურნეობათა დონემდე, ეს კი სავსებით რეალური ამოცანაა, კარტოფილის წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდება. აქედან ჩანს, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულისაგან შემოსავლის გადიდების მთავარი წყაროა მოსავლიანობის გადიდება. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის, დამუშავებისა და მოსავლის აღების ყოველმხრივი მექანიზაცია. თუ მარცვლეული კულტურების თესვისა და მოსავლის აღების ძირითადი სამუშაოები თითქმის მთლიანად მექანიზებულია, კარტოფილის თესვის სამუშაო კოლმეურნეობებში შარშან მექანიზებული იყო მხოლოდ 14 პროცენტით, ხოლო მოსავლის აღებისა—6 პროცენტზე ნაკლებით.

კარტოფილის მოყვანის მექანიზაციის საკითხი უწინარეს ყოვლისა მისი თესვის წესის საკითხია. მექანიზაციის პრობლემას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, თუ არ შემოვიღეთ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის უფრო პროგრესული წესი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მთლიანად მოვახდინოთ მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაცია. გვაქვს თუ არა ასეთი წესი? დიახ, გვაქვს. ეს არის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. მოწინავე კოლმეურნეობები უკვე დიდი ხანია იყენებენ მას. მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 1943 წელს დაიწყო კარტოფილის თესვა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. უკანასკნელ წლებში ბევრმა კოლმეურნეობამ, დარწმუნდნენ რა ახალი წესის უპირატესობაში, დაიწყო მისი ფართოდ გამოყენება. მაგალითად, მოსკოვის ოლქში წარსულ გაზაფხულზე კარტოფილის დიდი ნაწილი ამ წესით დაითესა. რა არის ახალი წესის ღირსება? ის, რომ იგი საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ნათესების გარდიგარდმო და განივი მექანიზებული დამუშავება, მკვეთრად შევამციროთ ნათესების მოვლაზე ხელის შრომა. ამასთან იქმნება საუკეთესო პირობები მცენარის განვითარებისათვის, მაშასადამე, უხვი მოსავლის მიღებისათვის.

მოვიყვან ზოგიერთ მაგალითს. მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობაში „წინ კომუნიზმისაკენ" არის 920 ჰექტარი სათესი ფართობი. აქ სათოხნ კულტურებს უკავიათ 460 ჰექტარი, მათ შორის კარტოფილს—277 ჰექტარი და ბოსტნეულს—120 ჰექტარი. კოლმეურნეობაში 321 შრომისუნარიანი კოლმეურნეა, აქედან მემინდვრეობაში მუშაობს 160 კაცი. ამრიგად, მემინდვრეობაში მომუშავე ერთ კოლმეურნეზე მოდის დაახლოებით 3 ჰექტარი სათოხნი კულტურები. განა კოლმეურნეები შეძლებენ კარგად დაამუშაონ ეს ფართობი ცხენითა და ხელის შრომით და უხვი მოსავალი მიიღონ? რა თქმა უნდა, ვერა. 1951 წლიდან მოყოლებული კოლმეურნეებმა იწყეს კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. მანქანა კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის მაშინ არ იყო. წარმოებდა მისი მხოლოდ გამოცდა. გადაწყვიტეს კულტივატორის მიყოლებით თესვა. კოლმეურნეებმა სწორად განსაჯეს: მართალია, ხელითაა, უმანქანოდ, მაგრამ მაინც კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა ვთესოთ; უკეთესია მეტი შრომა დავხარჯოთ თესვაზე, მაგრამ შევქმნათ პირობები მექანიზებული დამუშავებისათვის. განახორციელა რა მექანიზებული დამუშავება, კოლმეურნეობამ მკვეთრად გაადიდა მოსავლიანობა. 1952 წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილი კარტოფილის მოსავალმა 167 ცენტნერი შეადგინა ჰექტარზე, მწკრივად თესვას დროს კი—მხოლოდ 80 ცენტნერი ჰექტარზე.

წელს ამ კოლმეურნეობაში თითქმის მთელ ფართობზე კარტოფილი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივი წესით. კოლმეურნეობაში ოთხმწკრივად სათესი მანქანით კვადრატულ-ბუდობრივი წესით ერთი ჰექტარის თესვას დასჭირდა 1 კაცდღე, ორი მიმართულებით კარტოფილის სამ მწკრივთაშორის ტრაქტორით დამუშავებას კი—მხოლოდ 0,6 კაცდღე ჰექტარზე. ამრიგად, კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილის თესვასა და დამუშავების დროს ერთ ჰექტარზე დახარჯულია მხოლოდ 1,6 კაცდღე, მაშინ როცა მწკრივად თესვის დროს ამავე სამუშაოებზე იხარჯება 30 კაცდღეზე მეტი. კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილის მოყვანის დროს დახარჯულ ერთ კაცდღეზე კოლმეურნეობამ მიიღო 23 ცენტნერი კარტოფილი, ჩვეულებრივი წესით დამუშავებისას კი—მხოლოდ ერთნახევარი ცენტნერი.

შრომის ნაყოფიერება კიდევ უფრო გადიდდება, როცა კარგად იქნება ათვისებული კარტოფილსათესი მანქანა. იგი მოითხოვს კვალიფიციურ მუშაკებს. ასეთი ადამიანები ჩვენ გვეზრდებიან. უკვე ცოტა როდია ისეთი მემანქანეები, რომლებიც დაეუფლნენ ტექნიკას და შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს. მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზაზე" მემანქანე ამხ. აკიმფეევმა ოთხმწკრივად კარტოფილსათესი მანქანის დღიური გამომუშავება აიყვანა 12,4 ჰექტარამდე, ნორმა კი 8 ჰექტარია. თუ გავითვალისწინებთ, რომ მანქანას მომსახურებას უწევს 8 კაცი, გამოდის, რომ ერთ კაცზე დღეში მოდის ჰექტარნახევარი დათესილი კარტოფილი! მოსკოვის ოლქის ბრონიცის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მემანქანე ამხ. რედკინმა ოთხმწკრივად სათესი მანქანის გამომუშავება აიყვანა ცვლაში 10-11 ჰექტარამდე. აი რა ხელსაყრელია კვადრატულ-ბუდობრივი წესი! ამოცანა ის არის, რომ ფართოდ დავნერგოთ იგი წარმოებაში.

უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ხელმძღვანელებს ამ საქმეში სწორი პოზიცია არ უკავიათ. ისინი კარტოფილის თესვას კვადრატულ-ბუდობრივი წესით გეგმავენ სათესი მანქანების არსებული რაოდენობის შესაბამისად. ხოლო რადგან მანქანები ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს, ახალი წესით, სამინისტროს წინადადებით, მხოლოდ ფართობების ნახევარი უნდა დაითესოს. ამას ვერ დავეთანხმებით. საჭიროა გავიხსენოთ, რომ კვადრატულ-ბუდობრივი წესი წარმოიშვა კოლმეურნეობებში, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არა გვქონია სპეციალური მანქანები. მაგრამ, მიუხედავად ამისა მას იყენებდნენ მოწინავე კოლმეურნეობებში და დიდ ეფექტსაც აძლევდა. ჩვენ მომავალ წელს კარტოფილი აუცილებლად უნდა დავთესოთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. კარტოფილსათესების გამოშვებას მრეწველობა ახლა მკვეთრად ადიდებს. მაგრამ ისინი არ გვყოფნის. მოგვიხდება კარტოფილის თესვა კულტივატორის, გუთნის მიყოლებით, მაგრამ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. თუ ამას გავაკეთებთ და ამით მოვახდენთ კარტოფილის დამუშავების მექანიზაციას, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ კარტოფილის მოსავლიანობა უკვე მომავალ წელს მკვეთრად გაიზრდება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სასურსათო საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა **სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო** სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს თევზის, ხორცის, რძისა და კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გადაეცა თევზის, ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, ყველის, შაქრის, პურის ცხობის, მაკარონის, საკონდიტრო, საკონსერვო, საჭმელი კონცენტრატების, ზეთცხიმეულის, სპირტისა და არყის, მეღვინეობის, ლუდის, ჩაის, თამბაქოს, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მარილის და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ვასილ პეტრეს-ძე **ზოტოვი.**

* * *

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა **სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო** სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს გადაეცა ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის, სელის, ტყავეულის, ფეხსაცმლის, ბეწვეულის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, მინის მრეწველობის დარგებისა და ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად დაინიშნა ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი.**

* * *

საქონელბრუნვის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებათა ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა **სსრ კავშირის ვაჭრობის** საკავშირო რესპუბლიკური **სამინისტრო** სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საშინაო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების ბაზაზე.

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანი.**

* * *

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და უცხოეთის სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა **სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო** სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების ბაზაზე.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ივანე გრიგოლის-ძე **კაბანოვი.**

* * *

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა საბჭოთა მეურნეობებში მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საქმეს, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების და ხანიმუშო მაღალნაყოფიერ სოციალისტურ მეურნეობებად მათი გადაქცევის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა **სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების** საკავშირო-რესპუბლიკური **სამინისტრო,** გადასცა მას საბჭოთა მეურნეობები, ცხენსაშენები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით და საჭიროდ ცნო შეიქმნას საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრად დაინიშნა ამხ. ალექსი ივანეს-ძე **კოზლოვი,** ამასთან იგი განთავისუფლებულ იქნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად დაინიშნა ამხ. ივანე ალექსანდრეს-ძე **ბენედიქტოვი.**

# ოტო გროტევოლის სიტყვა გლეხთა მიტინგზე

ბერლინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). [illegible]

[illegible] ომის გამჩაღებლებმა და რომ ამით დას- [illegible]

[illegible] გაციის მოლაპარაკების შედეგები და [illegible]

[illegible] ბოლო არ მოუღოს ამ დანაშაულებრივ გეგმებს.

დასავლეთ გერმანიის ბევრ ქალსა და მამაკაცს დღეს კიდევ არ ესმის, რომ ისინი იმყოფებიან თავიანთი უბოროტესი მტრების ყალბი პროპაგანდის გავლენაში, რომელთა პოლიტიკა გარდუვალად გამოიწვევს გერმანელი ხალხის ეროვნული არსებობის მოსპობას და ახალი ომის გაჩაღებას. მაგრამ ფაქტები ძლიერ მალე აუხელენ მათ თვალს, რომ 6 სექტემბერს გადადგმული იყო ახალი ნაბიჯი გათიშვის გაღრმავებისაკენ.

ოტო გროტევოლმა თავის სიტყვაში ცხადყო, რომ უკვე ახლა, 6 სექტემბრის არჩევნების რამდენიმე დღის შემდეგ, ბონელმა რევანშისტებმა და მილიტარისტებმა ადენაუერის მეთაურობით აშკარად დაიწყეს მოქმედება როგორც [illegible]

[illegible] რულებენ რა წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის დაღუპულ მებრძოლთა ანდერძს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ჰიტლერული ფაშიზმისაგან, გერმანიის ისტორიაში პირველად შექმნეს ისეთი სახელმწიფო, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის ფაშისტურ იმპერიალისტურ წარსულთან და დაიწყო ახალი გზა, მშვენიერი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ მიმავალი მშვიდობიანი, დემოკრატიული გზა.

გროტევოლმა თავის სიტყვაში გაიხსენა საბჭოთა მთავრობის 15 აგვისტოს ნოტა გერმანიის საკითხზე და საბჭოთა მთავრობასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელე- [illegible]

[illegible] გამანადგურებელი ომის საშინელებაში.

მეორე გზა გვიჩვენებს: თუ გერმანელი ხალხი მოისურვებს, რომ გერმანიის საკითხი მოწესრიგდეს მშვიდობიანი გზით, მაშინ ვერავითარი აგრესიული ძალა — ვერც ოკეანესგაღმელი და ვერც ევროპელი — ხელს ვერ შეუშლის ამ კეთილშობილური მისწრაფების განხორციელებას.

ოტო გროტევოლმა თავისი სიტყვა დაამთავრა გერმანელი ხალხისადმი მოწოდებით — იბრძოლოს მშვიდობისათვის, ერთიანობისა და დემოკრატიისათვის, იბრძოლოს ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი გერმანიის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

# იაპონიის ხელისუფლები აკავებენ საბჭოთა კატერს

ვლადივოსტოკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). 8 აგვისტოს ღამით იაპონიის საზღვაო დაცვამ დააკავა აღმოსავლეთ სახალინის მეთევზეობის სახელმწიფო ტრესტის საბჭოთა კატერი იმ საბაბით, რომ თითქოს იგი განზრახ შევიდა იაპონიის წყლებში.

ხსენებული კატერი ოთხი კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟით წავიდა დაკარგული საბჭოთა თევზსაჭერი გემის საძებნად და არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო დაკარგა ორიენტაცია, რაც იაპონიის ხელისუფლებმაც იციან.

საბჭოთა კატერი და მისი ეკიპაჟი დღემდე დაკავებულია სრულიად უსაფუძვლოდ, რასაც არც იაპონიის გენერალური პროკურორი სატო უარყოფს, რომელმაც 22 აგვისტოს განაცხადა, არ არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ საბჭოთა კატერი იაპონიის წყლებში განზრახ შემოვიდა.

ამ პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ განახორციელებდნენ ღონისძიებებს საბჭოთა კატერისა და მისი ეკიპაჟის განთავისუფლების და საბჭოთა კავშირში მათი შეუფერხებელი დაბრუნებისათვის. მაგრამ იაპონიის ხელისუფლებმა ეს არ ქნეს და სასამართლო საქმე აღძრეს კატერის კაპიტნის წინააღმდეგ.

იაპონიის ხელისუფალთა ამ მოქმედებას მხოლოდ თვითნებური მოქმედება შეიძლება დაერქვას.

# სავაჭრო ურთიერთობა ავსტრიასა და უნგრეთს შორის

ვენა, 12 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ვინერ ცაიტუნგი" იუწყება, ბუდაპეშტში მუშაობა დაამთავრა ავსტრია-უნგრეთის შერეულმა სავაჭრო კომისიამ. კომისიის თათბირების შედეგად ხელმოწერილ იქნა და დაიდო შეთანხმება საქონლის ახალი სიების შესახებ. ოქმი აწესრიგებს საქონელგაცვლას ავსტრიასა და უნგრეთს შორის 1953 წლის 1 სექტემბრიდან 1954 წლის 31 აგვისტომდე. უნგრეთი მიაწვდის ავსტრიას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და სამრეწველო საქონელს. ავსტრია გაიტანს უნგრეთში ფოლადს, ნაგლინს, მერქანს, მაგნეზიტს, ცელულოზას, ქაღალდს და ქიმიური მრეწველობის პროდუქტებს.

# მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს რეზოლუცია

ვენა, 11 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ თავის სესიაზე მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო, რომელიც პირველად შეიკრიბა კორეაში სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, მიესალმება მშვიდობის საქმის ამ გამარჯვებას.

ბიურომ განიხილა იმ კამპანიის მიმდინარეობა, რაც 1953 წლის 20 ივნისს დაიწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, რომელმაც მოუწოდა ხალხებს მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს, რომ მათ მოლაპარაკება დაიწყონ და შეთანხმდნენ ერთმანეთთან. საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ამ მოწოდებისადმი ცხადყოფს, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გამოხატა კაცობრიობის უღრმესი მისწრაფებანი. დღეს ვერც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ვეღარ ბედავს აშკარად გამოვიდეს მოლაპარაკების წინააღმდეგ.

მაგრამ ამ ბოლო დროს მოვლენათა მსვლელობა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მოვალეობას აკისრებს მოუწოდოს ხალხებს სიფხიზლისაკენ. სიტყვა „მოლაპარაკებას" ძალიან ხშირად იყენებენ იმ ღონისძიებათა შესანიღბავად, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო დავის მშვიდობიან გადაჭრას. წინასწარი პირობების წამოყენება და იმის სურვილი, რომ წინასწარ თავს მოახვიონ მოლაპარაკების ფორმა და შინაარსი, როდი ნიშნავს მოლაპარაკებას. იმის ცდა, რომ მოლაპარაკებას კორეის შესახებ წინ უძღოდეს სეპარატული ხელშეკრულების დადება ლი სინ მანთან, რომელმაც უარი თქვა დაზავებაზე, ინდოეთის ჩამოცილება პოლიტიკურ კონფერენციაში მონაწილეობისაგან, იმის მოთხოვნა, რომ გერმანიის შესახებ ყოველგვარი მოლაპარაკების დაწყებამდე თანხმობა იყოს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებაზე — ეს იმას ნიშნავს, რომ სურთ შეუძლებელი გახადონ შეთანხმება.

ჩვენ მოვუწოდებთ ხალხებს ხელი შეუშალონ რაიმე საბაბით ომის განახლებას კორეაში და მიაღწიონ ომის შეწყვეტას ინდო-ჩინეთში. ძალდატანებითი მოქმედება, რაც აზიასა და აფრიკაში ხორციელდება ბევრი ხალხის დამოუკიდებლობისა და უშიშროების წინააღმდეგ, უნდა შეწყდეს მშვიდობის ინტერესებისათვის.

ხალხები არ დაეთანხმებიან იმას, რომ გერმანიაში აღორძინდეს ომის კერა, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა გერმანიის ყველა მეზობელს, თვით გერმანელ ხალხს და მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ხალხებს სურთ გულწრფელი მოლაპარაკება, პატიოსანი მისწრაფება შეთანხმებისადმი ყველა დარგში ყველასათვის მისაღებ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ისინი მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვას. ისინი მოითხოვენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი, რომლის უფლებაც მას აქვს. მათ მიაჩნიათ, რომ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა და მშვიდობის დამყარება ვერ იქნება მიღწეული, თუ ჩინეთმა არ მიიღო მონაწილეობა. საშინელი საფრთხე, რასაც კაცობრიობისათვის წყალბადის ბომბი წარმოადგენს, მოითხოვს მასობრივი მოსპობის ყოველგვარი იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვას.

ომის ხარჯების აუტანელი და საშიში ტვირთი უნდა შემსუბუქდეს განიარაღების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების გზით. დროა აღდგეს თანასწორ საფუძვლებზე ვაჭრობა ყველა ქვეყანას შორის მათი ურთიერთსარგებლობისათვის და ყველა ადამიანის ცხოვრების პირობების სწრაფად გაუმჯობესებისათვის. დროა აღდგეს თანამშრომლობა ყველა ქვეყანას შორის. საჭიროა კაცობრიობას დაესახოს ახალი პერსპექტივები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ რწმენით მიმართა ხალხებს, რომლებმაც მიაღწიეს დაზავებას კორეაში. იგი მოუწოდებს მათ გაერთიანდნენ და მოახდინონ თავიანთ ღონისძიებათა კოორდინაცია, რათა ჩაშალონ ძალის პოლიტიკა და მიაღწიონ შეთანხმებას მთავრობებს შორის.

ვენა. 1953 წ. 10 სექტემბერი.

## გენერალ ჯონ ჰელის დანიშვნა

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დენვერიდან იუწყება, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გენერალი ჯონ ჰელი დანიშნა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და „გაერთიანებული ერების" შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად გენერალ მარკ კლარკის ნაცვლად.

# ჭადრაკი

## საერთაშორისო ტურნირი შვეიცარიაში

ნოიჰაუზენი, 12 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნოიჰაუზენში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის მერვე ტური.

მანევრული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა 4 შეხვედრა: კერეს—გელერის, ბრონშტეინ—ბოლესლავსკის, ნაიდორფ—საბოს და პეტროსიან—ავერბახისა.

გადადებულ პარტიებში დიდი უპირატესობა აქვთ გლიგორიჩს შტალბერგის წინააღმდეგ, ეივეს ტაიმანოვის წინააღმდეგ. რეშევსკი—კოტოვის პარტია არ გათამაშებულა, რადგან რეშევსკი რელიგიური მოტივებით შაბათობით არ თამაშობს.

გუშინ ნოიჰაუზენის სახალხო სახლში გაიმართა ტურნირის მონაწილეთა დარბაზობა, რომელზეც გადასცეს პირველ შვიდ ტურში საუკეთესო შედეგისათვის დაწესებული სპეციალური პრიზები. პირველი ორი პრიზი მოიპოვეს სმისლოვმა (სსრ კავშირი) და რეშევსკიმ (ამერიკის შეერთებული შტატები), რომლებმაც ხუთ-ხუთი ქულა მოაგროვეს. მესამე და მეოთხე პრიზი მოიპოვეს კერესმა (სსრ კავშირი) და ნაიდორფმა (არგენტინა).

მეცხრე ტურით დაწყებული, შეხვედრები წარმოებს ციურიხში. ნოიჰაუზენიდან საბჭოთა მოჭადრაკეების გამგზავრებასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დ. პოსტნიკოვმა გუშინ ინახულა ქალაქ ნოიჰაუზენის მერი ილიი და მადლობა გადაუხადა გულთბილი და გულღია მიღებისათვის, რაც საბჭოთა მოჭადრაკეებს მოუწყეს. საპასუხო სიტყვაში ილიიმ რწმენა გამოთქვა, რომ შვეიცარიაში საბჭოთა ადამიანების ყოფნა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ხალხთა კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის დამყარების საქმეს.

ციურიხი, 14 სექტემბერი. (საკდესი). გუშინდელი მე-9 ტურიდან მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის გათამაშება ციურიხში მოხდება. მცირე დარბაზი, სადაც ტურნირი მიმდინარეობს, თამაშის დაწყებამდე გაიჭედა ხალხით. ბევრი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყველა დაფაზე გაჩაღებულ დაძაბულ ბრძოლას. გროსმაისტერმა სმისლოვმა პარტიის დასაწყისშივე მიაღწია უპირატესობას კერესის წინააღმდეგ, ჩინებულად ჩაატარა შუა თამაში და გაიმარჯვა. ეივემ საუცხოო სტილით გაიმარჯვა ნაიდორფზე, პირდაპირი იერიში მიიტანა რა მოწინააღმდეგის მეფეზე. პეტროსიანმა, რომელიც შავებით ეთამაშებოდა გროსმაისტერ საბოს, გონებამახვილად შესწირა პაიკი და შებოჭა მოწინააღმდეგის თითქმის ყველა ფიგურა, რის შედეგადაც საბჭოთა გროსმაისტერმა მოიგო ფიგურა და პარტია. ძლიერ დაძაბულად მიმდინარეობდა გელერ — რეშევსკის შეხვედრა. საბჭოთა გროსმაისტერმა ერთგვარი პოზიციური უპირატესობა მიიღო, შემდეგ კი პაიკი შესწირა. მაგრამ კრიზისულ მომენტში გელერს ძალიან ცოტა დრო დარჩა სვლათა მოსაფიქრებლად და ვეღარ გააძლიერა იერიში. პარტია ყაიმით დამთავრდა სვლათა გამეორებით. სამი პარტია გადაიდო. დღეს ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრების დღეა.

# ფეხბურთი

ლენინგრადი. 13 სექტემბერს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა XV საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ლენინგრადისა და კიევის „დინამოს" გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

გორკი. დაიწყო ქვეჯგუფებში გამარჯვებული „ბ" კლასის გუნდების გადამწყვეტი შეხვედრები ფეხბურთში. ამ დღეს თბილისის სპარტაკელები შეხვდნენ გორკის „ტორპედოს". გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:0. ამავე დღეს სტალინოს „შახტიორმა" მოუგო ივანოვოს „ზნამიას". მინსკისა და ერევნის „დინამოს" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

„საქართველოს კომუნისტი" № 8

გამოვიდა და ხელმომწერებს ეგზავნებათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 8.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები: ა. გუნია — ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა პარტიული განათლებისადმი; გ. ბრეგაძე — სოციალისტური ერების ჩამოყალიბება და აყვავება სსრ კავშირში; ო. ბაკურაძე — ხალხი — ისტორიის შემოქმედი.

განყოფილებაში „პარტიულ თემაზე" დაბეჭდილია ვ. კიკნაძის სტატია: პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა.

განყოფილებაში „პასუხი შეკითხვებზე" დაბეჭდილია დ. ზავრიევის სტატია: იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისი თანამედროვე ეტაპზე.

# კალათბურთი

12 სექტემბრის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა თბილისის „დინამოსა" და რიგის ოფიცერთა სახლის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 57:54.

კვირას, 13 სექტემბერს, თბილისის „დინამო" შეხვდა გასული წლის ჩემპიონს — მოსკოვის ცდსა-ს. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ცდსა — ალექსეევი (კაპიტანი), კონევი, სილინში, მოისეევი, ანტონოვი; „დინამო" — ქორქია (კაპიტანი), ჯორჯიკია, ძელენტი, აბაშიძე, ეგანოვი.

ანგარიშს ხსნის ქორქია. მალე ჯორჯიკია მეორე ბურთს ათავსებს ცდსა-ს კალათში, ხოლო მე-4 წუთისათვის დინამოელთა კაპიტანს ანგარიში 6:0 აქვს. ამის შემდეგ თბილისელებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. მე-10 წუთზე ანგარიში იყო 11:6, მე-15 წუთზე — 17:13. ტაიმი დინამოელთა სასარგებლოდ დამთავრდა ანგარიშით 23:20.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა თამაშის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 58 : 45.

13 სექტემბერს მორიგი გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე კაუნასის „ჟალგირისის" ვაჟთა, მოსკოვის „დინამოს" ქალთა და სხვა გუნდებმა.

14 სექტემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები. ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მოსკოვისა და თბილისის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც თბილისის დინამოელთა მორიგი გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 45:39. ამრიგად, ვაჟთა გუნდებიდან დღეისათვის დაუმარცხებლად იბრძვიან კაუნასის „ჟალგირისისა" და თბილისის „დინამოს" კალათბურთელები.

ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონობის პირველი პრეტენდენტია მოსკოვის „დინამო", რომელმაც გუშინ დაამარცხა დედაქალაქის „სტროიტელი" ანგარიშით 59:42.

## რედაქციისაგან

გაზეთ „კომუნისტის" 13 სექტემბრის № 217 (9685)-ში გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" **საკდესის** მიზეზით ზოგიერთ ადგილას დაშვებულია არსებითი შეცდომა. პლენუმის დადგენილების განყოფილებაში — „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანისა და დამზადების გადიდების შესახებ" პირველი მუხლის ა პუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„ა) კოლმეურნეობებში—კარტოფილისა **4128,5** ათას ჰექტარამდე და ბოსტნეული კულტურებისა **1003,4** ათას ჰექტარამდე"... და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

ამავე დადგენილების განყოფილებაში „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ" მე-6 მუხლის მე-7 და მე-8 სტრიქონები (ზევიდან) უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „დანიშნულების 500 ათასი ტრაქტორის, 15-ძალიანზე გადაყვანით, და 250 ათასი ფიზიკური სათოხნი ტრაქტორის"... და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

**რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.**

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 15 სექტემბერს | პ. ჩაიკოვსკი—**პიკის ქალი** (ა. დრობდოვის მონაწილეობით). |
| 16 სექტემბერს | ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **რუდოლფ გაბრიელის-ძე კონიაევმა,** მცხოვრებმა კალინინის ქ. № 38, აღძრა საქმე კუკიის შესახ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **აიდა ლევანის ასულ მაისურაძე-კონიაევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ალექსანდრე ნესტორის-ძე ჩახავამ,** მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 20, აღძრა საქმე ქობულეთის აღმართი № 8 მცხოვრებ მოქალაქე **ეთერ გრიგოლის ასულ კუპრაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

[illegible]

ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **არკადი ალექსის-ძე ალიხანოვის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან **ოთარ იოველის-ძე ჭუმბურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX ქუთაისში, გამოსვენება ჯაფარიძის V შესახ. № 11.

ქ. გოგლიძე, დ. ჭიჭინაძე, ვ. გაბუნია, ა. ბარკალაია, ვ. კაჭარავა, ნ. შარიქაძე, ა. მელიქიანი, რ. კოსტილოვა, ს. სარიშვილი, ა. ხომასურიძე, ა. ზულიაშვილი, ნ. მაჭავარიანი იუწყებიან **ანდრო ჭახნაკიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ზაქარია, შვილი ლუბა, სიძე შ. მეურმიშვილი, რძლები თამარ, იულია, შვილიშვილები ვენერა, მურთაზ, ლია, გივი, ჟუჟუნა გულიაშვილები იუწყებიან **ალექსანდრა ივანეს ასულ გულიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვალერიან, შვილები ნათელა, გივი, თინა, მერი, ოთარ, სიძე ა. გულდედავა, მოსე და მარო გულდქდავები იუწყებიან **ნინო ონისიმეს ასულ ძნელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX, 5 ს. ქ. ბათუმში. გამოსვენება ტურგენევის ქ. № 33.

ა. მერცხულავა, გ. თავამაიშვილი, დ. ქვლივიძე, გ. ნადაშვილი, ო. გველესიანი, მ. სანიკიძე, ი. ბერძენი, ნ. თოფურია, ჯ. ლომაშვილი, გ. ტატიშვილი, ბ. მეფარიშვილი, ვ. ურუშაძე, ნ. გიორგობიანი, ა. ხვედელიანი, გ. ბუქბულაშვილი, ვ. საგსაგანსკი, ს. ატოიანი, მ. თითირაშვილი, ვ. რევიშვილი იუწყებიან **ანდრო მიხეილის-ძე ჭახნაკიას** გარდაცვალებას.

გ. შენგელია, მ. გველესიანი, ნ. ჩარგეიშვილი, ქ. ჯაფარიძე, მ. გოგლიევა, ლ. ტყეშელაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ო. ზადიკაშვილი, გ. სულაძე, შ. გიგილაშვილი, ვ. თათრიშვილი, ი. ბერია, კ. ბექიტაშვილი, ვ. ჩარგეიშვილი, ს. ტაბატაძე, ვ. შჩერბაკოვა, ე. წაბრია იუწყებიან **ანდრო ჭახნაკიას** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, ძმა შალვა, რძალი ელენე, ძმისწულები ცირა, ნუგზარ გელიკაშვილები, ბიძაშვილები სოსო, თედო, ილია, ალექსანდრე გველუკაშვილები, დავით ოსეფოვი იუწყებიან **გიორგი ზაქარიას-ძე გელიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-IX, 8 ს. გამოსვენება 17-IX, 6 ს. მნათობის ქ. № 18.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქლუხორის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან **ოთარ იოველის-ძე ჭუმბურიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქლუხორის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან **ზურაბ ბიძინას-ძე ყანჩაველის** გარდაცვალებას.

ბიძა ამბაკო, ბიცოლები ქრისტინე, ეკატერინე, ბიძაშვილები ნინო, ქსენია, ჯულიეტა, ერასტი, ილია, ამილო ახობაძეები, სიძე შ. გელოვანი ოჯახებით იუწყებიან **ანდრო მიხეილის-ძე ჭახნაკიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX ჩხენიშში (სამტრედიის რაიონი).

ი. ტუსკია, გ. კილაძე, ვ. ხმალაძე, შ. ასლანიშვილი, ლ. შიუკაშვილი, ს. ბოკუჩავა, მ. ბახტაძე, გ. მენაღარიშვილი, ვ. ტრაპაიძე, ნ. ბოკუჩავა იუწყებიან **ანა თედორეს ასულ ახობაძის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები იუწყებიან **დიმიტრი პარმენის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, სამდივნოსი— 8-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრებას — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 8-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—8-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 8-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 8-73-24, განცხადებების — 8-51-81. გამომშვების — 8-81-65. გამომცემლობის დირექტორის — 8-65-41, სტამბის დირექტორის — 8-77-70.

უე 04380

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".